2015 წელი, 29 იანვარი – 4 თებერვალი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

ახალი გაზეთლება

№2 (676) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

საერთაშორისო ჟურნალისტის პროფესია საშუალებას მომცემს, საქართველო უკეთ გავაცნო მსოფლიოს

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“
სტუმარია ლიკა ჭიპაშვილი,
მონტენის სახელობის ბორდოს უნივერსიტეტის სტუდენტი,
საქართველოს ახალგაზრდა ელჩი საფრანგეთში

გვერდი 4

გზა დამოუკიდებლობისკენ

პრაღის ისტორიულ ვაცლავის მოედანზე მდებარე ლუცერნის სასახლეში, საზეიმოდ გაიხსნა ფოტოგამოფენა – „გზა დამოუკიდებლობისკენ: აზერბაიჯანი, საქართველო, ლიტვა“, რომელიც მიეძღვნა1989-90-91 წლებში განვითარებულ მოვლენებს და იმ მძიმე, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს, რომელიც განვლო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა სამმა სახელმწიფომ: საქართველომ, აზერბაიჯანმა და ლიტვამ.

გვერდი 3

პატიმრობა, როგორც უკიდურესი ზომა

გვერდი 2

არასრულწლოვანებისთვის მართლმსაჯულების ახალი კოდექსი მზადდება, რომელიც 18 წლამდე ასაკის მოზარდებისთვის სპეციალიზებული, ევროპული სტანდარტებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანილი მართლმსაჯულების სისტემის შექმნას ითვალისწინებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

პატიმრობა, როგორც უკიდურესი ზომა

ლალი ჯელაძე

არასრულწლოვანებისთვის მართლმსაჯულების ახალი კოდექსი მზადდება, რომელიც 18 წლამდე ასაკის მოზარდებისთვის სპეციალიზებული, ევროპული სტანდარტებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანილი მართლმსაჯულების სისტემის შექმნას ითვალისწინებს. კოდექსი იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და საერთაშორისო ექსპერტების, სფეროს სპეციალისტებისა და ფსიქოლოგების ჩართულობით მომზადდა. მასზე მუშაობა ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი კომპლექსური დოკუმენტია და მოიცავს საკითხებს, რომლებიც ეხება კანონთან კონფლიქტში მყოფ და დანაშაულის მსხვერპლ ან მოწმე ბავშვებს ისევე, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებაში მონაწილე ბავშვებს.

როგორი უნდა იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა და რა უნარებს უნდა ფლობდნენ ადამიანები, რომლებიც მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში არიან ჩართულები?

კოდექსი ითვალისწინებს:

– სისხლის სამართლის სფეროს პროფესიონალების (პოლიციის, პროკურორების და მოსამართლეების) სავალდებულო სპეციალიზაციას, რაც გამართული, ბავშვისადმი კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთი ქვაკუთხედია;

– ალტერნატიული სანქციების და განრიდების ზომების ფართო სპექტრს (როგორიცაა: გაფრთხილება, კონსულტაცია, მსხვერპლისათვის კომპენსაციის გადახდა, აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამაში მონაწილეობა და სხვ.), რაც პროფესიონალებს საშუალებას მისცემს, გამოიყენონ პატიმრობა, როგორც უკიდურესი ზომა;

– თავისუფლების აღკვეთის ლიმიტირებულ დროს და წინასწარი პატიმრობის პერიოდში რეგულარულ სავალდებულო რევიზიას;

– ახალ, ბავშვისადმი კეთილგანწყობილ მიდგომას და დანაშაულის მსხვერპლი და მოწმე ბავშვებისთვის ისეთ გარანტიებს, როგორიცაა მსხვერპლის დაცვა სავარაუდო დამნაშავისგან, სისხლის სამართალის საქმის წარმოების პროცესში დამხმარე პირის მიმაგრება, კონფიდენციალობის დაცვა და იურიდიული დახმარების უზურნველყოფა.

საუბარი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის გამოწვევებსა და სპეციალიზებული ინსტიტუტის შექმნაზე საქართველოში უკვე წლებია მიმდინარეობს. როგორც სისხლის სამართლის ექსპერტები, ისე ფსიქოლოგები მიიჩნევდნენ და კვლავაც მიიჩნევენ, რომ, თუკი დანაშაულის ფორმა ამის შესაძლებლობას იძლევა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ არასრულწლოვანი პენიტენციალურ სისტემაში არ მოხვდეს. სწორედ ამ მიზნით ამოქმედდა 2010 წელს არასრულწლოვანთა სასჯელისგან განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულში ბრალდებულ ან დანაშაულის პირველად ჩამდენ არასრულწლოვანთა ნაწილის მიმართ პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმების გამოყენებას გულისხმობს. თუმცა, მხოლოდ ეს პროგრამა არ აღმოჩნდა საკმარისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი კომპლექსური დოკუმენტია და მოიცავს საკითხებს, რომლებიც ეხება კანონთან კონფლიქტში მყოფ და დანაშაულის მსხვერპლ ან მოწმე ბავშვებს ისევე, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებაში მონაწილე ბავშვებს.

იუსტიციის მინისტრის, **თეა წულუკიანის** განცხადებით: *„შემოგვაქვს ნოვაცია, რომ საქართველოში არსებობდეს სპეციალიზებული პოლიციელი, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე. მთავარი პრიორიტეტი ენიჭება განრიდებას და ალტერნატიულ მეთოდებს, როგორც ეს გაეროს კონვენციაშია მოცემული, პატიმრობა იქნება უკიდურესი გამოსავალი. სხვა სიახლეებთან ერთად, სიახლეა ისიც, რომ ნასამართლეობის მოხსნა ბავშვისთვის სასჯელის მოხდისთანავე მოხდება.“*

არასრულწლოვანებისთვის, ახალი ჰუმანური და ლიბერალური მართლმსაჯულებით, უქმდება უვადო და შემოდის შიდაპატიმრობა; უცვლელი რჩება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი, რაც ისევ 14 წლით განისაზღვრება. სისხლის სამართლის დევნასთან მიმართებაში, უპირატესობა ენიჭება აღდგენითი მართლმსაჯულებისა და მედიაციის, აგრეთვე, განრიდების ინსტიტუტებს. პატიმრობის, როგორც სასჯელის ფორმის, გამოყენება არასრულწლოვანთან მიმართებაში მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე იქნება შესაძლებელი და მისი მაქსიმალური ზომა 10-15 წლით განისაზღვრება. იკრძალება არასრულწლოვნისათვის უფრო მაღალი სასჯელის და უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება. ეს მიდგომები არასრულწლოვნებისადმი აღარ იქნება დამოკიდებული ბრალდების მხარის კეთილ ნებაზე, პრაქტიკაზე, არამედ წარმოგვიდგება, როგორც ინსტიტუციურად გარანტირებული. ახალი კოდექსის მიხედვით, ბრალის წარდგენიდან წინასასამართლო სხდომამდე, ბავშვისთვის პატიმრობის ვადა 60-დან 40 დღემდე მცირდება, ნასამართლეობის მოხსნა კი სასჯელის მოხდისთანავე მოხდება. თუმცა, თუ ადრე გასამართლებული არასრულწლოვანი დანაშაულს განმეორებით ჩაიდენს, სასჯელის დანიშვნის დროს, მისი ნასამართლეობა მხედველობაში მიიღება. შესაბამისად, კოდექსის მთავარი მიზანი არასრულწლოვნისათვის რესოციალიზაციის შანსის მიცემაა. ახალი რეგულაციის თანახმად, წინასწარი პატიმრობის ვადა, 9 თვის ნაცვლად, 6 თვე იქნება, ხოლო ბრალდებული არასრულწლოვანი პირდაპირ სასამართლო პროცესზე დაიკითხება. იცვლება სასჯელის მოხდის პირობებიც – იკრძალება არსრულწლოვანი ბრალდებულის სრულწლოვანთან ერთად, ერთ საკანში და ასევე ერთ დაწესებულებაში, განთავსება.

„ვაფასებთ იუსტიციის სამინისტროს ძალისხმევას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დამოუკიდებელი კოდექსის შემუშავების საქმეში, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. სპეციალიზაცია, პატიმრობის, როგორც სასჯელის უკიდურესი ფორმის, თავიდან არიდება ალტერნატიული ზომებისა და სასჯელის გამოყენების გზით, ბავშვისადმი კეთილგანწყობილი და ინდივიდუალური მიდგომა – თანამედროვე, ბავშვისადმი კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემის ძირითადი კომპონენტებია – აღნიშნა **საშა გრაუმანმა**, იუნისეფის წარმომადგენელმა საქართველოში.

იუსტიციის მინისტრის მოადგილე **ალექსანდრე ბარამიძე** ამბობს, რომ დოკუმენტის ამოქმედების შემდეგ არასრულწლოვანთა საქმეებს სწორედ სპეციალიზებული პოლიციელები, გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები წარმართავენ. ამგვარ ქმედებას სახელმწიფოებს ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი ავალდებულებს:

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ერთად მოუყრის თავს ყველა იმ ნორმას, რომელიც არასრულწლოვანს ეხება, მის ადმინისტრაციულ თუ სისხლისსამართლებრივ პროცედურებს ეხება. აქ არის გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიმატი. გათვალისწინებულია ისიც, რომ მოსამართლე იქნება, გამომძიებელი თუ პროკურორი, რომელსაც შეხება აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან, არასრულწლოვნის საქმეებში იყოს სპეციალიზებული“.

ბავშვის ინტერესების, განვითარების თავისებურებებისა და ბავშვებსა და ზრდასრულებს შორის არსებული განსხვავებული საჭიროებების უკეთ გათვალისწინების მიზნით, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი მოითხოვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დამოუკიდებელ სისტემას და ბავშვთა მიმართ განსხვავებულ მოპყრობას და ავალდებულებს კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს, შეიმუშაონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დამოუკიდებელი პოლიტიკა, კანონმდებლობა და სისტემა.

„იუნისეფი კვლავ გაუწევს დახმარებას საქართველოს მთავრობას კოდექსის განხორციელების მიზნით, რაც გულისხმობს: კანონქვემდებარე აქტების და პროფესიონალებისათვის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებას, სხვადასხვა მექანიზმების შექმნას და მართლმსაჯულების სფეროსა და სხვა პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლებას“ – აღნიშნავს **საშა გრაუმანი**, იუნისეფის წარმომადგენელი საქართველოში.

სიახლე იმის შესახებ, რომ სახელმწიფო კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების მიმართ მიდგომას ცვლის, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. იუსტიციის სამინისტროში კოდექსზე ერთი წლის განმავლობაში მუშაობდნენ. ახალი სტანდარტების შემუშავებაში ფსიქოლოგები და საერთაშორისო ექსპერტებიც იყვნენ ჩართული. *„შეიძლება კონკრეტული საკითხები შემდგომში დამუშავდეს, დაიხვეწოს, მაგრამ პრინციპი – ამ კუთხით სპეციალიზება, მართლაც მისასალმებელია“* – აცხადებს დეპუტატი **შალვა შავგულიძე**.

მოზარდობაში ჩადენილი დანაშაული არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი პოტენციური დამნაშავეა და აუცილებლად დამნაშავედ ჩამოყალიბდება. მართლმსაჯულების სისტემაში ჩართულმა ადამიანებმა კარგად უნდა იცოდნენ მოზარდობის ასაკის თავისებურებები და ჰქონდეთ გაცნობიერებული ის ზეგავლენა, რასაც პენიტენციალურ სისტემაში გატარებული წლები ახდენს არასრულწლოვანზე, სასჯელის მოხდა ამცირებს თუ, პირიქით, ზრდის არასრულწლოვანებში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ალბათობას. ახალი კოდექსის ამოქმედებით ქვეყანა არასრულწლოვანებისთვის უფრო ლოიალურ სასამართლოს მიიღებს და, რაც მთავარია, ბავშვზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მის მომავალზე აუცილებლად აისახება. იმედისმომცემად ჟღერს ისეთი კოდექსის ამოქმედება, რომელიც მაქსიმალურად იქნება მორგებული არასრულწლოვანების ინტერესებზე, რაც ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას განაპირობებს.

კოდექსის განხილვა პარლამენტში, საგაზაფხულო სესიაზე, დაჩქარებული წესით დაიწყება. **ვახტანგ ხმალაძის** აზრით: *„კოდექსი შესაძლებლობას მოგვცემს, ასაკობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე მივუდგეთ თითოეულ პირს“.*



გამოფენა

გზა დამოუკიდებლობისკენ

19 იანვარს, პრაღის ისტორიულ ვაცლავის მოედანზე მდებარე ლუცერნის სასახლეში, საზეიმოდ გაიხსნა ფოტოგამოფენა – „გზა დამოუკიდებლობისკენ: აზერბაიჯანი, საქართველო, ლიტვა“, რომელიც მიეძღვნა1989-90-91 წლებში განვითარებულ მოვლენებს და იმ მძიმე, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს, რომელიც განვლო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა სამმა სახელმწიფომ: საქართველომ, აზერბაიჯანმა და ლიტვამ. გამოფენის ორგანიზატორებმა ჩეხ მოქალაქეებსა და დამთვალიერებლებს თბილისში, ბაქოსა და ვილნიუსში მომხდარი ისტორიული მოვლენების ამსახველი 40 ფოტო წარუდგინეს (1989 წლის 9 აპრილი – საქართველოში, 1990 წლის 20 იანვარი – ბაქოში და 1991 წლის 13 იანვარი – ვილნიუსში). გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ: აზერბაიჯანელ სტუდენტთა კავშირი, ქართველ სტუდენტთა გაერთიანება ჩეხეთის რესპუბლიკაში და ლიტვის საელჩო.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსის აკრედიტებული წარმომადგენლები, ქვეყნის მმართველი პირები, ყოფილი ევროკომისარი **შტეფან ფულე, ფარიდ შაფიევი** – აზერბაიჯანის ელჩი ჩეხეთის რესპუბლიკაში, **აურიმას ტაურანტასი** – ლიტვის ელჩი ჩეხეთის რესპუბლიკაში, **ალექსანდრე ჭელიძე** – საქართველოს დესპანი ჩეხეთის რესპუბლიკაში, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, სტუდენტები და მედიის წარმომადგენლები.

სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

მე და ჩემმა მეგობრებმა, **ელდარ ალიევმა** – აზერბაიჯანელ სტუდენტთა კავშირის თავჯდომარე, **გედა მონტვილაიტემ** – ჩეხეთში ლიტვის დიასპორის წევრი, საერთო პროექტი მოვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ ჩვენი უახლესი ისტორიის გაცოცხლება ჩეხი და უცხოელი პუბლიკის წინაშე. რადგანაც სამივე ქვეყანამ საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობისათვის გრძელი და სახიფათო გზა განვლო, მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ გამოფენა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისთვის მიგვეძღვნა, კერძოდ, 1989-1990-1991 წლებში განვითარებული მოვლენებისთვის. ვეცადეთ ისეთი ადგილი აგვერჩია, რომელიც არა მარტო ჩეხებისთვის, არამედ უცხოელებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნებოდა და პრაღის ცენტრში მდებარე კულტურული კომპლექსის ჰოლი შევარჩიეთ, სადაც, ტრადიციულად, ბევრი ადამიანი მოძრაობს. გამოფენის მომზადებაში ძალიან ბევრი ადამიანი მონაწილეობდა, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ეროვნულ არქივს, რომელმაც დროულად მოგვაწოდა ფოტოები; გამოფენის საინფორმაციო მხარდაჭერისთვის – საქართველოს საელჩოს და ფინანსური მხარდაჭერისთვის – აზერბაიჯანის მხარეს.

„ამ გამოფენით გვსურს ვაჩვენოთ, რომ გვახსოვს, როგორ იბრძოდა ჩვენი ხალხი დამოუკიდებლობისთვის და პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას“, – აღნიშნა გამოფენის ორგანიზატორმა **გედა მონტვილაიტემ.** აზერბაიჯანის ელჩმა, **ფარიდ შაფიევმა** გაიხსენა ე.წ. „შავ იანვარს“ ბაქოში დატრიალებული მოვლენები, როდესაც საბჭოთა ჯარისკაცებმა 130-ზე მეტი ადამიანი მოკლეს: *„საბჭოთა ხელმძღვანელებმა ჯარი გამოგზავნეს თითქოს არსებული წესრიგის აღდგენისა და სტაბილიზაციისთვის, მაგრამ გაუგებარია, რაში დასჭირდათ მათ ტელევიზიის აფეთქება და კომუნიკაციების დაზიანება. შეჭრის ერთადერთი მიზანი პროტესტანტების დასჯა იყო. მიუხედავად ასეთი ბრუტალური შევიწროებისა, საბჭოთა მთავრობამ ვერ მიაღწია მიზანს და აზერბაიჯანელი ხალხის დამოუკიდებლობის ნება ვერ შეარყია. საუკეთესო ნიმუში ამისა ის არის, რომ 25 წლის შემდეგ, დღეს, პრაღაში ვდგავარ თქვენ წინაშე, როგორც აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის ელჩი“* – ამაყად განაცხადა მან.

ჩეხეთში ლიტვის ელჩმა **აურიმას ტაურანტასმა** პარალელები გაავლო აზერბაიჯანისა და ლიტვის მოვლენებს შორის. გაიხსენა, როგორ შევიდა ლიტვაში საბჭოთა ჯარები, იმავე სცენარით დაიპყრო ტელევიზია და ტელერადიოკომიტეტის შენობა. ტაურანტასმა გაიხსენა, რომ ლიტვის რევოლუციას „სიმღერის რევოლუცია“ იმიტომ ეწოდა, რომ ლიტველები ტანკებს ხალხური სიმღერებით შეეგებნენ.

გამოფენაზე საქართველოს დესპანმა, **ალექსანდრე ჭელიძემ** აღნიშნა, რომ საქართველომ, ამ ქვეყნებს შორის, პირველმა მიიღო დარტყმა საბჭოეთიდან და 1989 წლის 9 აპრილი ისეთივე მნიშვნელოვანია ქართველებისთვის, როგორც აზერბაიჯანელებისთვის „შავი იანვარი“, ხოლო ლიტველებისთვის 1991 წლის „სიმღერის რევოლუცია“. ქართველმა ხალხმა სწორედ 9 აპრილს გაიაზრა, რომ მათი მომავალი საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ იყო და ორ წელიწადში – 1991 წლის 9 აპრილს, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა.

გამოფენა „გზა დამოუკიდებლობისკენ – აზერბაიჯანი, საქართველო, ლიტვა“ 2 თებერვლამდე გაგრძელდება. დამთვალიერებელი კიდევ ერთხელ გაიხსენებს მოვლენებს, რომლებმაც ჩვენი და ჩვენი მეგობარი ქვეყნების ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა.

ლაშა ნავერიანი
პრაღის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტის სტუდენტი, ახალგაზრდა ელჩი ჩეხეთის რესპუბლიკაში

საგანმანათლებლო კერა

წინარეხის სკოლის ისტორია

სოფელი წინარეხი შიდა ქართლის ულამაზეს კავთურის ხეობაში მდებარეობს, იგი ამ ხეობის უძველესი, ისტორიული და ტრადიციული სოფელია. სოფელს გარს აკრავს ისტორიული ძეგლები, რომელთა მშვენებაა ქვათახევის მონასტერი.

სოფელ წინარეხში სკოლა 1882 წელს გაიხსნა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ, იმ მიზნით, რომ დაწყებითი განათლება მიეცა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისათვის. კონკრეტულად წინარეხში კი იმიტომ გაიხსნა, რომ იმ დროს იგი კავთურის ხეობის ცენტრს წარმოადგენდა და მის გარშემო მდებარე მთიულთა 14 სოფლის და ბარის სოფლების ბავშვთა უმრავლესობა წინარეხის სკოლაში იღებდა დაწყებით განათლებას.

სკოლა აშენდა და გაიხსნა უშუალოდ ნიკო ცხვედაძის დახმარებითა და თაოსნობით. თავდაპირველად დაწყებითი იყო, 1932 წლიდან კი არასრული (საბაზო) სკოლაა. სკოლის პირველი მასწავლებელი **სალომე მაღალაშვილი** ყოფილა, შემდეგ – **ივანე გიუნაშვილი**, რომელიც დაწყებითი კლასების სასწავლო პროგრამის შემადგენელი იყო და მინიჭებული ჰქონდა სახალხო მასწავლებლის წოდება. მას ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონია იაკობ გოგებაშვილთან, რომელიც სწორედ მისი მოპატიჟებით ესტუმრა სკოლას ილია ჭავჭავაძესთან ერთად. მათ მაღალი შეფასება მიუციათ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესისათვის, შემდეგ ქვათახევის მონასტერი მოუნახულებიათ და გზად, ტყის პირას, სკოლის მოსწავლეებს „კაკო ყაჩაღიდან“ სცენა გაუთამაშებიათ სიურპრიზად, რასაც მწერლები აღუფრთოვანებია.

თავისი არსებობის 133 წლის მანძილზე სკოლამ ბევრი ცნობილი პიროვნება გაზარდა და კასპის რაიონის ერთ-ერთი მოწინავე სკოლის სახელს ინარჩუნებდა.

დღევანდელი მდგომარეობით კი, სოფელ წინარეხის საჯარო სკოლა მცირეკონტინგენტიანი საბაზო სკოლაა და თემში შემავალ 4 სოფელს ემსახურება. შენობა ავარიულია და სასწრაფოდ საჭიროებს რეაბილიტაციას. ასეთი დახმარება აუცილებელია, რომ ჩვენი ქვეყნის ამ ერთ-ერთმა უძველესმა საგანმანათლებლო კერამ კვლავ ღირსეულად გააგრძელოს ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ მცხოვრებთა მიგრაციის პროცესის შეჩერებასაც.

ვასილ ქეშელაშვილი
წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორი

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

საერთაშორისო ჟურნალისტის პროფესია საშუალებას მომცემს, საქართველო უკეთ გავაცნო მსოფლიოს

რუბრიკის სტუმარია ლიკა ჭიპაშვილი, მონტენის სახელობის ბორდოს უნივერსიტეტის სტუდენტი, საქართველოს ახალგაზრდა ელჩი საფრანგეთში

– ლიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის წითელ დიპლომზე დამთავრების შემდეგ, არჩევანს უცხოეთზე აკეთებ. რატომ აირჩიე განათლების მისაღებად ქალაქი ბორდო?

– პროფესიული არჩევანი ჯერ კიდევ ბავშვობაში გავაკეთე, ერთადერთი რაც მომწონდა, მხოლოდ ჟურნალისტიკა იყო. ვფიქრობ, არ არსებობს სხვა პროფესია უფრო სიცოცხლისუნარიანი, სიახლის მქონე, საინტერესო და ჰუმანური, ვიდრე ჟურნალისტიკაა. თსუ-ს ჟურნალისტიკის სპეციალობაზე სწავლისას გატარებულმა ოთხმა წელმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ჩემი პიროვნულობის ჩამოყალიბებაში. ეს იყო საკუთარი თავის აღმოჩენის, ცხოვრებისეული მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის პერიოდი, გაცნობიერებული მე-ს საწყისი და საფუძველი. წლები, როდესაც შევიძინე უძვირფასესი მეგობრები, თანაკურსელებისა და პროფესორ-მასწავლებლების სახით. მათგან ვისწავლე ადამიანური ურთიერთობები და, იქ შეძენილი უმაღლესი საბაზისო განათლების საფუძველზე, დავიწყე დანარჩენი სამყაროს შეცნობა.

ამის შემდეგ იყო ოსლოს უნივერსიტეტის საზაფხულო საერთაშორისო აკადემიურ სკოლაში გატარებული დაუვიწყარი მცირე პერიოდი. ამაყი ვარ, რომ ამ სკოლაში სწავლის შესაძლებლობა ორჯერ მომეცა, რადგან, ჩემი აზრით, ეს საუკეთესო ადგილია, სადაც ადამიანს შეუძლია აღმოაჩინოს მსოფლიო. იქ შევხვდი ასი სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტს და მათი კულტურისა და ტრადიციების გაცნობით დავინახე, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე მსოფლიო. ვიტყოდი, რომ ეს სკოლა კეთილი მინი-სამყაროა, სადაც სხვადასხვა კულტურის, ერის, რასისა თუ რელიგიის მქონე ადამიანები არიან აბსოლუტურად თანასწორნი, ტოლერანტულნი და ერთმანეთის შემავსებელნი. ჩემთვის სწორედ, აი, ეს არის სიმბოლო იმისა, თუ როგორი უნდა იყოს დღეს მსოფლიო.

რაც შეეხება საფრანგეთს, ფრანგული ენითა და კულტურით გატაცებული ბავშვობიდან ვიყავი. აქედან გამომდინარე, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ სასწავლებლად აუცილებლად საფრანგეთში წავიდოდი. ფრანგული ენა კი, საფუძვლიანად ფრანგულ ინსტიტუტში შევისწავლე, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს მასწავლებელს, საქართველოში ფრანგული ენის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სპეციალისტს, ბატონ **თორნიკე ერისთავს**. ქალაქ ბორდოზე არჩევანი იმ სამაგისტრო პროგრამის გამო შევაჩერე, რომელზედაც გავაკეთე განაცხადი. კერძოდ, 2010 წელს, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდე, სწავლა გავაგრძელე ინფორმაციისა და კომუნიკაციის კვლევითი მაგისტრატურის პირველ კურსზე მონტენის სახელობის ბორდოს უნივერსიტეტში. თუმცა, იმ წელს აღმოვაჩინე, რომ კვლევითი მაგისტრატურა, სალექციო კურსის თვალსაზრისით, დატვირთული არ არის, რადგან ძირითადად სტუდენტის ინდივიდუალურ კვლევით სამუშაოზეა ორიენტირებული. იმის გათვალისწინებით, რომ ბაკალავრიატში ოთხი წელი ისეთ აქტიურ პროფესიას ვეუფლებოდი, როგორიც ჟურნალისტიკაა, ეს ჩემთვის ცოტათი მოსაწყენი იყო. ამიტომაც გადავწყვიტე, პარალელურად, სხვა სამაგისტრო პროგრამაზეც მესწავლა და არჩევანი მონტესკიეს სახელობის ბორდოს უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესიულ მაგისტრატურაზე შევაჩერე, სადაც პირდაპირ მე-2 კურსზე ჩამრიცხეს. შედეგად, 2012 წელს, მოვიპოვე მაგისტრის ორი ხარისხი: ინფორმაცია-კომუნიკაციის სპეციალობით – მონტენის სახ. ბორდოს უნივერსიტეტში და პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით – მონტესკიეს სახ. ბორდოს უნივერსიტეტში. ამჟამად კი, ისევ მონტენის სახ. ბორდოს უნივერსიტეტში ვსწავლობ „მეცნიერებების ისტორიის, ფილოსოფიისა და მათი გაშუქების“ სამაგისტრო პროგრამაზე. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში სამეცნიერო ჟურნალისტიკა განვითარებული არ არის, ჩემთვის ეს საინტერესო და სრულიად ახალი გამოცდილებაა.

– მიამბე ბორდოს უნივერსიტეტის ისტორია, რამდენწლიანია და რა ღირს სწავლა?

– ბორდოს უნივერსიტეტი საკმაოდ ძველია – 1441 წელს პაპის ევგენი VI-ის მიერ იქნა დაარსებული ოთხი ფაკულტეტის ბაზაზე. XX საუკუნის შუა პერიოდში ბორდოს უნივერსიტეტი, სტუდენტთა რაოდენობით, პარიზის შემდეგ, ფრანგულ უნივერსიტეტებში მეორე ადგილს იკავებდა. 2014 წლამდე იგი მოიცავდა: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს – ბორდო 1-ის უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულუტეტს – ვიქტორ სეგალენის სახ. ბორდო 2-ის უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს – მიშელ დე მონტენის სახ. ბორდო 3-ის უნივერსიტეტში; იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს – მონტესკიეს სახელობის ბორდო 4-ის უნივერსიტეტში. 2014 წელს კი, ბორდო 1, 2 და 4 უნივერსიტეტების გაერთიანების საფუძველზე, ჩამოყალიბდა ერთი – ბორდოს უნივერსიტეტი, სადაც დღეს 45000 სტუდენტი სწავლობს და საფრანგეთის უნივერსიტეტებში მე-9 ადგილზეა, ხოლო მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების შანხაის კლასიფიკაციაში კი 208-ე პოზიციას იკავებს. რაც შეეხება მიშელ დე მონტენის სახელობის ბორდო 3-ის უნივერსიტეტს, მან დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და მონტენის სახ. ბორდოს უნივერსიტეტის სახელი მიიღო. მისი პოლიტიკა მიშელ დე მონტენის დღემდე აქტუალურ იდეებს ეფუძნება და უდიდეს ინსპირაციულ როლს თამაშობს უნივერსიტეტის თანამედროვე მოდელის შექმნაში. უნივერსიტეტი ცდილობს იყოს ჰუმანური, ახლის აღმომჩენი, პოლიგლოტი, მოქალაქეობრივი, შემოქმედებითი და ციფრულ სამყაროზე ადაპტირებული. უნივერსიტეტში 15 500 სტუდენტი სწავლობს, რომელთაგან 11,5% უცხოელია.

ზოგადად, ქალაქი ბორდო, 2014 წლის მონაცემებით, საფრანგეთის ქალაქების ტოპ ხუთეულში შევიდა სტუდენტთათვის ხელსაყრელი პირობებისა და სწავლების კომფორტის თვალსაზრისით. ბორდოს 235-ჰექტარიანი სტუდენტური ქალაქი კი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდია. რაც შეეხება სწავლის საფასურს, საფრანგეთის სახელმწიფო ყოველწლიურად თავად იხდის, დაახლოებით, 10000 ევროს თითოეულ სტუდენტზე. აქედან გამომდინარე, სწავლების პირველ საფეხურზე – ბაკალავრიატზე სტუდენტი მხოლოდ 189 ევროს იხდის; მეორე საფეხურზე, მაგისტრატურაზე – 261 ევროს, ხოლო დოქტორანტურაზე – 396 ევროს. რაც შეეხება კერძო სასწავლებლებს, საფრანგეთში მათი ყოველწლიური გადასახადი, საშუალოდ, 3000 ევროდან 10000 ევრომდე მერყეობს.

– სხვადასხვა დროს, შენ იყავი ევრაზიის ფონდის, კავკასიური პროექტის და პრეზიდენტის სტიპენდიანტი. როგორ ხდება სტიპენდიების და გრანტების მოპოვება უცხოელი სტუდენტებისთვის, რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შელავათები?

– თქვენ მიერ აღნიშნული სტიპენდიები საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე სწავლებისას მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე მოვიპოვე. რაც შეეხება საფრანგეთში სტიპენდიების საკითხს, აქ მრავალი სტიპენდია არსებობს, მაგრამ მათგან ყველაზე მასშტაბური სოციალური კრიტერიუმების საფუძველზე გაცემული სტიპენდიაა – Bourse sur des critères sociaux, რომელიც განკუთვნილია არა მხოლოდ ეროვნებით ფრანგ, არამედ ევროკავშირის მოქალაქეობის მქონე ყველა სტუდენტზე. თუმცა, იმისთვის, რომ აღნიშნული სტიპენდია, საფრანგეთში სწავლების პერიოდში, არაევროკავშირის ქვეყნების სტუდენტებმაც მიიღონ, დღეს აქტიურად იბრძვის საფრანგეთში ყველაზე დიდი სტუდენტური ასოციაცია – საფრანგეთის სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება (UNEF), რომლის აქტიური მხარდამჭერი ვარ. გარდა სოციალური სტიპენდიისა, რა თქმა უნდა, არსებობს ასევე მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთათვის სპეციალურად განკუთვნილი სტიპენდიები, მაგრამ, ძირითადად, მხოლოდ მაგისტრატურისა და დოქტურანტურის საფეხურებზე.

– რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ?

– იქიდან გამომდინარე, რომ ბორდოს უნივერსიტეტისგან განსხვავებით, მონტენის სახელობის ბორდოს უნივერსიტეტი უფრო მეტად ცნობილია, როგორც საერთაშორისო უნივერსიტეტი, ამ შემთხვევაში, მის სასწავლო პროგრამებზე გიამბობთ. მონტენის სახელობის ბორდოს უნივერსიტეტი, სასწავლო პროგრამების თვალსაზრისით, მართლაც გამორჩეულია – 138 საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამას მოიცავს ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების, ხელოვნების, უცხო ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე. პროგრამებზე სწავლების ფორმატიც მრავალფეროვანია. კერძოდ, არსებობს: დასწრებული, დაუსწრებელი, დისტანციური სწავლებისა და alternance (სასწავლო პროგრამის მთლიანი ნაწილი მოიცავს სტაჟირების პერიოდს) ტიპები. უნივერსიტეტი, ყოველწლიურად, 450 უცხოელ სტუდენტს იღებს, ხოლო 300 სტუდენტი, გაცვლითი პროგრამების საშუალებით, 269 პარტნიორ უნივერსიტეტში მიემგზავრება, მსოფლიო მასშტაბით. ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში სტუდენტებს 22 უცხოური ენის შესწავლის შესაძლებლობა აქვთ.

– რა როლი უჭირავს საფრანგეთში, კერძოდ ქალაქ ბორდოში, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– ქალაქი ბორდო 62 საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას ითვლის ერთ მილიონზე მეტი რეფერანსით, რომელთა დიდი ნაწილი ხელმისაწვდომია ასევე დისტანციურად. ბიბლიოთეკებში სპეციალიზებული ოთახებია ჯგუფური მუშაობისთვის, სტუდენტებისთვის შესაძლებელია ასევე პერსონალური კომპიუტერების თხოვებაც. როგორც მომავალი ჟურნალისტისა და მედიამკვლევარისთვის, ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩენა იყო პრესის უდიდესი ონლაინარქივი, სადაც შეგვიძლია მოვიძიოთ ნებისმიერი ფრანგული თუ უცხოური მედიის მიერ ამა თუ იმ საკითხზე გამოქვეყნებული ჟურნალისტური მასალა.

– როგორ ფიქრობ, ქართულთან შედარებით, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს?

– ქართულთან შედარებით, ევროპული მოწინავე უმაღლესი სასწავლებლების პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, ანუ ხარისხიანი განათლების მიღების საბაზისო უპირატესობა ტექსტური თუ აუდიო-ვიდეო სახის სასწავლო მასალის უდიდესი რაოდენობაა, რომლის დეფიციტი ქართული უმაღლესი სასწავლებლების აქილევსის ქუსლია. აუცილებელია მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურის დიდი რაოდენობის თარგმნა ქართულ ენაზე. ასევე ქართველ სტუდენტთა უნარების კიდევ უფრო გაუმჯობესება უცხოურ ენებში. ეს ხელს შეუწყობს საერთაშორისო აღიარებას, რაც ევროპული უნივერსიტეტების დიდი უპირატესობაა (იგულისხმება სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა აქტიური მიმოსვლა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში). მაგალითად, პოლიტიკურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამაზე სწავლებისას, ყოველკვირეულად, მოწვეული გვყავდა პროფესორები გერმანიიდან, ბელგიიდან, ჩეხეთიდან, ჩინეთიდან. ვფიქრობ, ქართულმა სახელმწიფომ, გარდა იმისა, რომ მეტად უნდა შეუწყოს ხელი ქართველ სტუდენტებს საზღვარგარეთ განათლების მიღებაში, ასევე უმნიშვნელოვანესია, ევროპაში ქართული უმაღლესი სასწავლებლების პოპულარიზაცია და წამყვანი ევროპული სასწავლებლების პროფესორთა აქტიურად მოწვევა საქართველოში. ასევე ზოგადი მაჩვენებლით, ქართულ უნივერსიტეტებში სამეცნიერო ლიტერატურის კითხვადობა სტუდენტთა მხრიდან ძალიან დაბალია, რადგან, ძირითადად, ნებისმიერი სალექციო კურსის შეფასება, უმეტესწილად, ამ სალექციო კურსის შუალედური და ფინალური გამოცდებით შემოიფარგლება. ხოლო ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებში კი, გარდა სალექციო კურსისა, უდიდესი ყურადღება ეთმობა შესაბამის სფეროში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის აქტიურ გაცნობას.

– ლიკა, როგორც შენი CV-დან შევიტყვე, პროფესიული თვალსაზრისით საკმაოდ სერიოზული სამუშაო გამოცდილება გაქვს – მუშაობდი ევროკომისიის რადიოში, ფრანგულ ფირმაში „Info Presse“, საქართველოს საელჩოში საფრანგეთში. რა იყო შენი, როგორც სტაჟიორის, ფუნქცია და უფლება-მოვალეობები?

– 2014 წლის სექტემბრის მონაცემებით, საფრანგეთში სწავლის პარალელურად, სტუდენტთა 70% სრული ან ნაწილობრივი დატვირთვით მუშაობს. ამიტომაც, აქ არსებობს სწავლების ორი ტიპი: დასწრებული და დაუსწრებელი, რომელიც სწორედ იმ სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი, ვინც მუშაობს. სწავლების ტიპის შესაბამისად, შეფასებისა და ლექციებზე დასწრების სისტემა განსხვავებულია. სწავლის პარალელურად, პირადად მეც, აქტიურად ვმუშაობდი Promotion-ის მიმართულებით. რაც შეეხება საფრანგეთში საქართველოს საელჩოში შეძენილ სამუშაო გამოცდილებას, ჩემი, როგორც სტაჟიორის, ფუნქცია-მოვალეობები იყო: ფრანგული პრესის მიმოხილვა და მიმდინარე ახალ ამბებზე ყოველდღიური მოხსენებების შედგენა, ასევე საელჩოსა და საკონსულოს ადმინისტრაციულ საქმიანობაში მონაწილეობა და მოქალაქეთა ინფორმირება შესაბამის პროცედურებზე. ასევე, ვიყავი ბორდოს უნივერსიტეტებში ფრანგული ფირმის „Info Presse“ წარმომადგენელი, ანუ სტუდენტთა მრჩეველი პრესის საკითხებში. ჩემს მოვალეობაში შედიოდა სხვადასხვა დისციპლინის სტუდენტების ინფორმირება შესაბამის სასწავლო სფეროში არსებული სპეციალიზებული და სამეცნიერო პრესის შესახებ.

– თავის დროზე, საქართველოში, სტუდენტური სასწავლო გაზეთის „ანარეკლი“ საზოგადოებისა და განათლების რუბრიკების რედაქტორი იყავი, მოგვიანებით, უცხოეთში, საფრანგეთის საელჩოში, მოგიწია სტაჟიორად მუშაობა ფრანგული მედიის მიმომხილველად. რა პარალელს გაავლებდი ქართულ და ფრანგულ მედიას შორის და რა აღმოაჩინე ფრანგულ მედიაში ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული, რისი დანერგვაც ღირს ქართულ მედიაში?

– ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი, რაც ფრანგულ მედიას ახასიათებს, პროფესიონალიზმია. ქართული მედიისგან განსხვავებით, ფრანგული მედია ვიწრო სპეციალიზაციით გამოირჩევა. მაგალითად, საერთაშორისო

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტს სპეციალური განათლება აქვს მიღებული საერთაშორისო ჟურნალისტიკაში, სამეცნიერო საკითხების ჟურნალისტს – სამეცნიერო ჟურნალისტიკაში და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ვიწრო სპეციალიზაცია საფრანგეთში არსებული ჟურნალისტური განათლების მრავალფეროვნებითაა განპირობებული. არსებობს სპეციალური სამაგისტრო პროგრამები საერთაშორისო, სამეცნიერო, კულტურის, ეკონომიკის ჟურნალისტიკაში, რაც შემდგომში აღნიშნული სფეროების პროფესიულად გაშუქების გარანტია. კარგი იქნება, თუკი საქართველოშიც ჩამოყალიბდება მსგავსი სახის ტენდენცია და ჟურნალისტიკაში ასეთი სპეციალიზებული სამაგისტრო პროგრამები შეიქმნება. გარდა ამისა, ვისურვებდი, რომ ქართულ მედიაში არსებობდეს, მინიმუმ, ერთი მედიასაშუალება მაინც, რომელიც მხოლოდ მსოფლიო ახალ ამბებს გააშუქებს და მსოფლიო პუბლიკაზე იქნება ორიენტირებული. მაგალითად, როგორიც არის: საფრანგეთის საერთაშორისო რადიო, France24, TV 5 და ა.შ. ეს ხელს შეუწყობს ქართული მედიის თვითგანვითარებას და ნელ-ნელა შეამცირებს ეროვნულ პოლიტიკურ ახალ ამბებზე გადაჭარბებულ ორიენტირებას, რაც, ხშირ შემთხვევაში, ქართული საზოგადოებისთვის ისტერიულ ხასიათს იძენს. ასევე მოხდება ქართული მედიის პოპულარიზება მსოფლიოში, ისევე როგორც საქართველოსა და ქართული კულტურის.

– პროექტის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ თანახმად, აგირჩიეს საფრანგეთის ახალგაზრდა ელჩად. რა შედის შენს მოვალეობებში, რა გეგმები გაქვს, კერძოდ, როგორ აპირებ საქართველოს პოპულარიზებას საფრანგეთში?

– ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე სასიამოვნო გამარჯვებაა. ალბათ, შემდგომში, რა დიდ წარმატებასაც არ უნდა მივაღწიო, ეს დარჩება ყველაზე დიდად, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. შესაძლებლობა – ემსახურო სამშობლოს – დიდი ფუფუნებაა და ყველას, ვისაც აქვს ამბიცია იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას ემსახუროს, ვუსურვებ, მიეცეს ამის საშუალება. ორმაგ დატვირთვას იძენს, ასევე, პერიოდიც – როდესაც შესაძლებლობა გეძლევა ახალგაზრდობაში, ამის მნიშვნელობა, ვფიქრობ, შეუფასებელია. ალბათ, არ არსებობს იმაზე დიდი სიამოვნება, როცა იაზრებ, რომ ახალგაზრდობის პერიოდში (რომელიც ზოგადად ყველაზე სასიამოვნოა ცხოვრების ყველა პერიოდთან შედარებით) მოგეცა შესაძლებლობა, აკეთო კარგი საქმე შენი ქვეყნისთვის და შეგნებულად გამოიყენო ახალგაზრდობა, რომლის ყოველი წუთი უმნიშვნელოვანესია. ამიტომაც, ამ პროექტში გამარჯვება ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. რაც შეეხება მოვალეობებს, ჩემი, როგორც ახალგაზრდა ელჩის მოვალეობა, 2015 წლის განმავლობაში, იქნება: საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებთან აქტიური ურთიერთობა და, მათი დახმარებითა და მონაწილეობით, ფრანგ ახალგაზრდებში საქართველოსა და ქართული კულტურის პოპულარიზაცია. კერძოდ, ახალგაზრდა ელჩის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სამ ძირითად პროექტს: კონფერენციათა ციკლს (შვიდი სექცია: პოლიტიკური მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა და ბიზნესი, ქართული მეცნიერება, ქართული ლიტერატურა, არქეოლოგია და მეღვინეობა), გაცნობითი ხასიათის შეკრებებს ფრანგი და ქართველი ახალგაზრდების დაახლოებისთვის და ქართველ ახალგაზრდებთან შეხვედრებს, სადაც შევეცდები, დეტალურად გამოვიკვლიო საფრანგეთში ქართველ სტუდენტთა ადაპტაციის პერიოდის სირთულეები, შემდგომში შესაბამისი დაწესებულების ინფორმირებისა და მათი პრევენციის მიზნით. გარდა ამისა, დაგეგმილი მაქვს ქართული ფილმების ჩვენება, ინტელექტუალური თამაშის ჩატარება და ქართული ბიბლიოთეკის შექმნისთვის ქართული ლეტერატურის აქტიური შეგროვება. ეს ყველაფერი 2015 წლის იანვრიდან ერთი წლის განმავლობაში განხორციელდება საფრანგეთის ათ ყველაზე დიდ სტუდენტურ ქალაქში: ბორდო, ტულუზა, ლიონი, მარსელი, მონპელიე, ნანტი, ნიცა, სტრასბურგი, ლილი და პარიზი. პროექტი, ძირითადად, ენთუზიაზმსა და მოხალისეობრიობაზეა დაფუძნებული. ამიტომაც, საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდების აქტიურობას პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? მიამბე, როგორ ცხოვრობენ ფრანგი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული?

– ფრანგ ახალგაზრდებს ძალიან უყვართ გასართობი საღამოები, ხშირად კოსტიუმირებული, რაც კიდევ უფრო სახალისოს ხდის საღამოს. რა თქმა უნდა, აქ ახალგაზრდები, მსგავსად ევროპის სხვა ქვეყნებისა, მხოლოდ პარასკევ და შაბათ საღამოს ერთობიან. იქიდან გამომდინარე, რომ უკვე მეოთხე წელია საერთაშორისო სტუდენტურ საცხოვრებელში ვცხოვრობ, ჩემი თავისუფალი დროც, ძირითადად, მსგავსი სახის საღამოების აქტიურ ორგანიზებას ეძღვნება. ჩემთვის ეს, გართობასთან ერთად, სხვადასხვა კულტურის გაცნობის საუკეთესო საშუალებაა. ასევე ცნობილია ფრანგების განსაკუთრებული დამოკიდებულება კინოსადმი, შესაბამისად ახალგაზრდებს ძალიან უყვართ კინოში სიარული. ეს ჩემთვისაც ერთ-ერთი საყვარელი პროცესია, ცეკვასთან ერთად, ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოყვარულთა დონეზე.

– მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას. როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– ჩემი მრავალპროფილიანი განათლებიდან გამომდინარე, პროფესიული მომავლის შესახებ ეტაპობრივად ვიცვლიდი მოსაზრებას. თავდაპირველად, აუცილებლად და მხოლოდ, ტელეჟურნალისტობა მინდოდა საქართველოში. შემდგომში, მედიაში კვლევითმა სფერომ გამიტაცა, მოგვიანებით – საერთაშორისო ჟურნალისტიკამ, ასევე დიპლომატიამ, ბოლოს კი – სამეცნიერო ჟურნალისტიკამ. მიუხედავად აზრთა ცვალებადობისა, რაც მრავალპროფილიანი სწავლებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ნიშნულია, ალბათ, მაინც საერთაშორისო ჟურნალისტის პროფესიას ავირჩევ, რაც შესაძლებლობას მომცემს, საქართველო უკეთ გავაცნო მსოფლიოს. რაც შეეხება უცხოურ დიპლომებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში დასაქმების სისტემას საკმაოდ დიდი ნაკლოვანებები აქვს, ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ჩემი დასაქმების პროცესში მხოლოდ უცხოეთში მიღებული განათლება ითამაშებს გადამწყვეტ როლს.

– საერთაშორისო განათლების სამყაროში შესვლა ქართველი ახალგაზრდებისთვის სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ეს არც ისე ადვილია, სწორი არჩევანის გაკეთება, საჭირო გამოცდილებისა და ცოდნის გარეშე, ძნელია. რას ურჩევ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ.

– გეთანხმებით, საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. ამ პერიოდში ადამიანი საკმაოდ დიდ ფსიქოლოგიურ ბრძოლას იწყებს საკუთარ თავთან, ცდილობს საკუთარი პიროვნების შეცნობას, სწავლობს ფიქრს და მანამდე მასში არსებული ღირებულებების შეფასება-გადაფასებას. ამ პერიოდში ადამიანი, შემიძლია ვთქვა, რომ გადის ბეწვის ხიდზე და, უცხო კულტურის გაცნობისას, საკუთარი იდენტობისა და რომელიმე ერის, კულტურისა თუ რელიგიის მიკუთვნებულობისადმი ეჭვის თვალით ყურებას იწყებს. ამ ურთულეს ფსიქოლოგიურ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი იდენტობის მდგრადობასა და თვითშეფასების ხარისხს. ამიტომაც, ვფიქრობ, ადამიანმა უმაღლესი სასწავლო განათლების სამი საფეხურიდან ერთ-ერთი, სრულად ან ნაწილობრივ მაინც, უნდა გაიაროს სამშობლოში. თუკი არ გვეცოდინება საკუთარი ქვეყნისა და ერის წარმოშობის, არჩეული დარგის საქართველოში განვითარების ისტორია, თუკი არ შევიგრძნობთ ქვეყნის პრობლემებს პრაქტიკაში, ვფიქრობ, სწავლის დასრულების შემდგომ სწორი პიროვნული და პროფესიული განვითარება საკმაოდ რთული იქნება. ახალგაზრდებს, რომელთაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავება სურთ, ვურჩევ, კარგად გაიაზრონ, რისთვის მიდიან და, წასვლამდე, კარგად შეისწავლონ სამშობლო და ქართული კულტურა, თავისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით, რათა შემდგომში, უცხოელებთან ურთიერთობისას, ჯანსაღნი და ბუნებრივნი იყვენენ. როგორც მიშელ დე მონტენმა თქვა, მხოლოდ მას, ვინც საკუთარ თავს შეიცნობს, შეუძლია შეიცნოს სხვები.

– როცა საქართველოდან ასე შორს ხარ, რა გენატრება ყველაზე მეტად?

– ყველაზე მეტად უნივერსიტეტის ბაღი და ჩემს მეგობრებთან ერთად იქ ყოფნა მენატრება, ასევე ქართული კერძებიც.

– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ალბათ მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი, ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს? რა არის ის, რაც საფრანგეთში გატარებულმა პერიოდმა მოგცა, შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული?

– იმისათვის, რომ ევროპამ მიგვიღოს, პირველ რიგში, უფრო ტოლერანტულები უნდა ვიყოთ. მაგალითად, ევროპაში არც ერთი ერის წარმომადგენელზე არ ძალადობენ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რასაც საქართველოში, ბოლო პერიოდში, რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი ფერადკანიანთა მიმართ. ასევე ევროპაში ნაგავს ქუჩაში არ ყრიან და ა.შ. გარდა სახელმწიფო ინსტიტუციების გარდაუვალი დემოკრატიული ტრანზიციისა, ჩვენთვის თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მოქალაქემ ინდივიდუალურად იბრძოლოს ევროპული ღირებულებების გაძლიერებისთვის ქართულ საზოგადოებაში და ეს ბრძოლა, პირველ რიგში, საკუთარ თავთან ბრძოლით უნდა დავიწყოთ. ასევე, მნიშვნელოვანია, გარდა იმ სიკეთეებით სარგებლობისადმი სწრაფვისა, რასაც დღეს ევროკავშირი თავისი წევრი ქვეყნების მოქალაქეებს სთავაზობს, იმაზეც ვიფიქროთ, ჩვენ რას შევთვაზებთ ისეთ სპეციფიკურს და ახლის მქონეს, რის გამოც სიხარულით მიგვიღებენ თავიანთ ოჯახში, იმ ოჯახში, რომლის შექმნისა თუ განვითარების პროცესში, თითოეულ წევრ ქვეყანას თავისი წვლილი აქვს შეტანილი. ამიტომაც, ქართულმა სახელმწიფომ, ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების დამკვიდრების გარდა, აუცილებლად უნდა შესთავაზოს რაღაც ისეთი უნიკალური და სპეციფიკური ქართული, რაც მრავალფეროვან ევროპას კიდევ უფრო გაამდიდრებს და ჩვენით ნამდვილად დაინტერესებს.

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

სასკოლო კონკურსი

დაამშვენე შენი ეზო

ამბობს, რომ ყვავილები მის ცხოვრებას ახალისებენ და ანტიდეპრესანტის როლს ასრულებენ. ბაღნარში მუშაობა მისი საყვარელი საქმეა! სკოლის შემდეგ ისე მიიჩქარის ყვავილებისკენ, როგორც დილით – მოსწავლეებისკენ...

როგორც კი მიწა თოვლის საფარს გადაიძრობს, მისი ეზო საყვავილედ „ემზადება“ და გვიან შემოდგომამდე სახლს ყვავილნარიდან სახურავი ძლივს უჩანს. ეზოში შემოსული სტუმარი აღტაცების შეძახილებით მიემართება მასპინძლისკენ და სულაც არ ჩქარობს სახლში შესვლას. ამ ბაღნარში მუშაობა მისი საყვარელი საქმეა!

ალბათ ამიტომაც იყო, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ სასკოლო კონკურსში, „დაამშვენე შენი ეზო“, სიამოვნებით ჩაერთო და ჩართო საკუთარი სკოლა, რომელსაც 27 წელია ხელმძღვანელობს. სკოლას, რომელიც, მართალია, მცირეკონტინგენტიანია, მაგრამ საკმაოდ წარმატებული.

წარსულს ხშირად სევდიანად იხსენებს, განსაკუთრებით იმ ავბედით წლებს, როცა ენთუზიაზმზე უწევდა მუშაობა და საკუთარ ქმარშვილსაც სკოლის პრობლემებით და ცხოვრებით აცხოვრებდა. როგორც ამბობს, რომ არა მათი უანგარო თანადგომა, ამდენ ხანს სკოლას ვერ უხელმძღვანელებდა, ვერ ზიდავდა სკოლის დირექტორის ჭაპანს.

კონკურსმა „დაამშვენე შენი ეზო“, თავდაპირველად, სიხარულის ნაცვლად, გულდაწყვეტა გამოიწვია, რადგან სკოლის ეზოს ღობე, იმ ავადსახსენებელი მეწყერის დროს, რომელმაც სოფელს სიმშვიდე დაურღვია, დამეწყრილი ტერიტორიის გასაწმენდად მოსულმა ტექნიკამ დააზიანა და შემოუღობავში, აბა, რა ყვავილნარი უნდა გაშენებულიყო?! მხსნელად აქაც მეუღლე მოევლინა და პერსპექტივაც გაჩნდა. გადაწყდა, შემოღობილიყო საყვავილე მონაკვეთი. მაინც ვერ ისვენებდა, წარმოუდგენელი იყო ამ ხრიოკზე ყვავილნარის გაშენება, დიდი შრომა უნდა გაეწიათ. პედკოლექტივს გამოუცხადა, რომ შემოღობვა სკოლის ხარჯით უნდა გაკეთებულიყო, რადგან სამინისტროს თანხმობას ვერ დაელოდებოდა, დრო არ ითმენდა... მაისის ბოლოს დაწყებულმა საქმემ ზაფხულში, განსაკუთრებით აგვისტო-სექტემბერში, საოცარი სილამაზის ყვავილნარად იფეთქა. ზაფხულში მასწავლებლები მორიგეობით რწყავდნენ, უვლიდნენ ნარგავებს...

როდესაც მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ყვავილნარის სანახავად გვესტუმრნენ და გაწეული მუშაობის ამსახველი ფოტო თუ ვიდეო მასალა ნახეს, აღფრთოვანებულები დარჩნენ. შედეგიც მალე გამოვლინდა – პირველი ადგილი და საპრიზო თანხა – 1500 ლარი – ლახამულის საჯარო სკოლას მიეკუთვნა!

1 დეკემბერს სამეურვეო საბჭომ კიდევ ერთხელ მისცა ხმა მის კანდიდატურას სკოლის დირექტორის თანამდებობაზე.

ვფიქრობ, გაზეთის მკითხველები იცნობენ ამ პატარა სკოლას და მის ხელმძღვანელს, თუ არ იცნობთ, გაიცანით – ლახამულის საჯარო სკოლის დირექტორი **ნაზი ჭიღლაძე-საბანიძე**.

ვულოცავ ახალ წელს ლახამულის საჯარო სკოლას, მის ხელმძღვანელს და მოსწავლე-მასწავლებლებს! მშვიდობიანი, სიხარულით და წარმატებებით სავსე წელი დაგებედოთ!

ლალი მარგიანი
ლახამულის საჯარო სკოლა

სასკოლო აქტივობა

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული შინაარსის ეკონომიკური კომენტარები

„შუა საუკუნეების საქართველოს ლიტერატურულ-ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმართულებები და შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ – ამ სახელწოდების ინტეგრირებული გაკვეთილი ჩატარდა სსიპ - მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №124 საჯარო სკოლის (დირექტორი – **მადონა მუმლაძე**) მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში. სამოდელო გაკვეთილს სული ჩაუდგეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არჩევითი საგნის „ეკონომიკა და სახელმწიფო“ პედაგოგმა **ასმათ შამუგიამ** და ისტორიის მასწავლებელმა **მარინა ტარუღიშვილმა.** სკოლის დირექცია (დირექტორის მოადგილეები – **დალილა ზუხბაია** და **ჟანა ჩიმჩიური**) და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (საინფორმაციო მენეჯერი – **გიორგი მურადაშვილი**) აქტიურად იყვნენ ჩართულები მოსამზადებელ სამუშაოებში. მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა მოიძიეს საჭირო მასალა, ფოტოები; პრეზენტაცია ძალიან საინტერესო გამოვიდა. დისკუსიის დაწყებამდე, მასწავლებლის, ასმათ შამუგიას თხოვნით, სადემონსტრაციო დაფაზე გამოკრულ „მოლოდინის ხეზე“ მოსწავლეებმა მიამაგრეს სტიკერები, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეს გაკვეთილი და რას ელოდნენ აღსაზრდელები მისგან. XII^{B} კლასის მოსწავლემ, **თათია წულაძემ** ისაუბრა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ, მოცემული პრეზენტაციის აქტუალობასა და დისკუსიის მიზანზე.

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. ჯერჯერობით, ბევრი რამ ბუნდოვანი რჩება. ყოველ ახალ მკვლევარს თავისი ამოცანა ხვდება ამ პოემაში და ეს არც არის გასაკვირი. მოსწავლეებისა და მასწავლებლის მიზანი იყო, რუსთაველის პოემის მრავალი მნიშვნელობიდან, მისი კიდევ ერთი, მეტად საყურადღებო ასპექტი ეჩვენებინათ – ეკონომიკური მიმართულებები. სწორედ ეკონომიკური პოზიციიდან იქნა წაკითხული „ვეფხისტყაოსანი“. შემსწავლელებმა ინოვაციურად გაიაზრეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის საკვანძო საკითხები: როდის და რა პირობებში იქმნებოდა გენიალური ნაწარმოები, რას უნდა მოეხდინა გავლენა პოეტის იდუმალებით მოცულ ბიოგრაფიაზე. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პოლიტიკური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, აღსაზრდელებმა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოებაში პოეტისადმი დამოკიდებულების საკითხები ახსნეს.

124-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები ფიქრობენ, რომ რუსთაველი აღმოსავლურ-დასავლური ლიტერატურული ტრადიციებით საზრდოობს. იგი ქმნის პოემას, რომელშიც სრულყოფილად გამოვლინდა ქართველი კაცის შემოქმედებითი გენია, დაუოკებელი სწრაფვა მშვენიერებისა და სიკეთისკენ.

„ვეფხისტყაოსანში“ დროის გაგებაც შუა საუკუნეების ეპოსის ჟანრის შესაბამისია. მასში გარკვეული დატვირთვა აქვს საკრალურ რიცხვებს (სამი გმირი, შვიდი მნათობი, ცხრა ცა), დროის აღნიშვნას კი ციფრი „სამი“ შეესაბამება („სამსა ძებნე წელიწადსა“, „თავშიშველი სამ დღე ვლიდეს“, „წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა“).

შესაძლოა, ზოგისთვის ღიმილის მომგვრელი იყოს, მაგრამ თუ პოემაში მოხმობილ კატეგორიებს თანამედროვე ენაზე გადმოვიტანთ და გამოყენებულ ტერმინოლოგიას დღევანდელობას მივუსადაგებთ, დავინახავთ, რომ იქ მეწარმეობის როლზე („მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები”), ვაჭრობაზე, ნაწარმის ხარისხზე, „მარკეტინგსა“ და „მენეჯმენტზეცაა“ ლაპარაკი. ცხადია, შედარებები ერთობ პირობითია, მაგრამ იმედია, დაგვეთანხმებით, საინტერესოა, ლიტერატურულ შედეგრში უჩვეულო რაკურსით აღწერილი მოვლენების განხილვა...

შოთა რუსთაველი განიხილავს ისეთ ეკონომიკურ კატეგორიას, როგორიცაა **სიმდიდრე** („მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები“). ადამიანი, შოთა რუსთაველის მიხედვით, ბევრს ხარჯავს და ბევრს მოიპოვებს. ავტორი გვიჩვენებს, რომ შრომით შექმნილი, რაოდენ დიდიც უნდა იყოს, განუსაზღვრელი ვერ იქნება, თუ გასავალი შემოსავალთან კავშირში არ არის (მეფე როსტევანს ათქმევინებს: „უხვად გასცემდი, ზღვათაცა, შესდის და გაედინების“).

ამასთან, შოთა რუსთაველი თითქმის ხუთი საუკუნით ადრე, ვიდრე ცნობილი ინგლისელი მეცნიერი უილიამ პეტი იტყოდა, სიმდიდრის დედა მიწაა, ხოლო მამა – შრომაო, განადიდებს შრომას. ისეთ ცნებებს იხილავს, როგორიცაა „შრომა“, „მუშა“, „მუშაობდეს“ და მათთან დაკავშირებულ „დაღლას“. გვიჩვენებს, რომ ფიზიკური შრომა არ არის დამამცირებელი, საზოგადოებისათვის აუცილებელიცაა; აგრეთვე ეხება შრომის დანაწილების პროცესებსაც („მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“).

საყოველთაოდ ცნობილი აფორიზმი: „რასაცა გასცემ, შენია; რაც არა, დაკარგულია!“ გულისხმობს, რომ სიმდიდრის დასაგროვებლად საჭიროა ყველა რესურსის გამოყენება, ქონების დება უსარგებლოა. სასარგებლოდ რომ აქციო, უნდა გასცე. იგი „შენიაში“ გულისხმობს სანაცვლოს მიღებას (რაც, დღევანდელი მნიშვნელობით, საცვლელი ღირებულებაა).

„ვეფხისტყაოსანში“ განხილულია ბაზრის ისეთი მდგომარეობა, როგორიცაა **კონიუნქტურა** (1. „მიმიხმო, მკითხა ამბავი და ნირი ლართა სყიდვისა...“ 2. „რა ლარია უფრო ძვირად ან იაფად რა იხსნების...“).

აღსანიშნავია, რომ კერძო საკუთრებასთან ერთად, შოთა რუსთაველი მოითხოვს სახელმწიფო საწარმოების, ხიდების, სასტუმროების, ქარვასლების აშენებას. გავეცნოთ ავთანდილის ანდერძს: „რაცა თქვენთვის არვარგ იყოს საჭურჭლესა დასადებად, მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად...“ (სიტყვა „ხანაგა“ მონასტრებისა და სასტუმროების აშენებას ნიშნავს).

შოთა რუსთაველი ეხება სახელმწიფო დანახარჯების მასტიმულირებელ როლს („უხვად გავცემდეთ, ვავსებდეთ, სიძუნწე უმეცრულია...“).

რუსთაველმა **ვაჭრობას** პროგრესული როლი მიანიჭა. იგი იხილავს გაცვლას, განაწილებასა და მოხმარებას. გაცვლის თავისებურ სახეობად ჩუქება აქვს წარმოდგენილი, იყენებს ტერმინს „ძღვენი“. ვაჭრობის როლის შესახებ ძალზე საინტერესოა შემდეგი მოსაზრება: „დიდვაჭარნი სარგებელსა ამის მეტსა ვერ ჰპოვებენ, იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ, წააგებენ...“ იმ დროს დიდვაჭარნი პოლიტიკაში აქტიურობდნენ და ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდნენ.

„ვეფხისტყაოსანში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი **ტურიზმს** და მასთან დაკავშირებულ **რეკლამასაც** („აქა მოსლვითა გაყმდების, კაციცა იყოს ბერები: სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არნ სიმღერები, ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილნი ფერად-ფერები; ვინცა გვიცნობენ, გვნატრიან, იგიცა, ვინ-ა მტერები“).

პოემაში ნათქვამია **საფოსტო ურთიერთობების** შესახებ. რუსთაველის გმირები, როგორც შინ, ისე გარეთაც ერთმანეთს წერილებითა და შუამავლების საშუალებით უკავშირდებიან (ტარიელის მოსაძებნად გაგზავნილ კაცს აბარებენ: „მისწერეთ წიგნი, სადაც ვერ მისწვდეთ, ვერ მიხვიდეთა...“). ფატმანსა და ქაჯეთში გამომწყვდეულ ნესტანს შორის მიმოწერაც ამას ადასტურებს.

„ვეფხისტყაოსანში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი **ფულს** და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. ფულის აღმნიშვნელად გამოყენებულია ის ლითონები, რომლისგანაც იგი იჭრებოდა, ესენია: ოქრო, ვერცხლი, რვალი (სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, არის სპილენძისა და თუთიის შენადნობი, შენარევი), სპილენძი („გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია...“). ფულის აღმნიშვნელად გამოყენებულია სხვადასხვა ქვეყნის მონეტა, მაგალითად, დრაჰკანი და დრაჰმა (ძველი ბერძნული ფულადი ერთეული, რომელიც იჭრებოდა ჩვ.წ. VI საუკუნიდან).

პოემაში განხილულია ფულის შემდეგი ფუნქციები: **ღირებულების საზომი** („მარგალიტი არვის მიხვდეს, უსასყიდლოდ, უვაჭრულად...“); **მიმოქცევის საშუალება** (...„ტურფანი სეფედ გარდასხნა, ფასიცა დაათვლევინა“), **გადახდის ფუნქცია** (ავთანდილი ვაზირს ავალებს, მეფეს სთხოვოს, ტარიელის მოსაძებნად კაცი გაუშვას და ამის საფასურად, „ასი ათასი წითელი“ დაჰპირდა... (წითელში ოქრო-ბაჯაღლო იგულისხმება); **დაგროვების ფუნქცია** („გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი...“).

განსაკუთრებით დიდი დატვირთვა აქვს პოემაში გამოთქმულ მოსაზრებას – „ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრენ და გლახაკნი არ ითხოვდნენ.“ გვაქვს საფუძველი მივიჩნიოთ, რომ ეს ეკონომიკის სოციალურ მიმართულებაზე მინიშნებას წარმოადგენს. ასეთ მიდგომას დღეს მთელ მსოფლიოში აქცევენ ყურადღებას.

დებატებზე აღინიშნა, რომ რუსთაველის პოემის შესწავლისას საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ეპოქის ესთეტიკურ პრინციპებსა და ჟანრის მხატვრულ თავისებურებებს.

დისკუსია მასწავლებელმა, ასმათ შამუგიამ შემდეგნაირად შეაჯამა: *ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, როცა მოსწავლის გამომეტყველებით ვგრძნობ, რომ იგი ჩასწვდა აზრს, რომლის გადაცემაც მსურდა. ამ დროს მისი მზერა სავსეა არა მარტო კმაყოფილებით საკუთარი თავის მიმართ, არამედ ბედნიერებითაც. თანამედროვე მასწავლებლებს გვაქვს უნიკალური პოტენციალი, აღსაზრდელების ცხოვრება უკეთესი გავხადოთ; როცა შემსწავლელის ცხოვრებას ცოტათი უფრო ბედნიერს ხდი, შენც ცოტათი უფრო ბედნიერი ხდები, რადგან მოსწავლის დადებითი ემოციები მყისიერად აისახება პედაგოგის განწყობილებაზეც.*

განსაკუთრებით სასიამოვნოა, როცა წარმატებას აღწევ ისეთ მოსწავლეებთან, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ არ შეეძლოთ სწავლა; საკითხების უმეტესობა მათთვის გაუგებარი და მიუწვდომელი იყო. არის შემთხვევები, როცა მოსწავლეს წარუმატებლობის პერიოდი გაუგრძელდება ხოლმე. ის უხალისოდ მონაწილეობს სასწავლო აქტივობებში, არასოდეს ასრულებს საშინაო დავალებას, რადგან არ ესმის ის. ასეთ მოსწავლეებს დაკარგული აქვთ საკუთარი თავის რწმენა და შეგუებულები არიან იმ აზრს, რომ აკლიათ გამჭრიახობა. შესაძლოა, ამ აკადემიური წარუმატებლობების მიზეზი ფსიქოლოგიური პრობლემებიც იყოს. ამ დროს მასწავლებელს რთული სამუშაოს შესრულება უწევს მრავალფეროვანი მეთოდოლოგიის გამოყენებით, მაგრამ ჯილდო ის დიდი მიღწევაა, როცა მოსწავლეები იწყებენ გაცნობიერებას, რომ მათი უიმედო განწყობილება არ იყო მართებული და მანამდე დაუძლეველი საკითხების დაძლევას ახერხებენ. ეს უზარმაზარ კმაყოფილებას ანიჭებს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლესაც. ასეთი კატეგორიის მოსწავლეების მიერ გაკეთებული „აღმოჩენა“ – სწავლა და გაგება შესაძლებელია – ყველაზე მნიშვნელოვანია.

პედაგოგის კიდევ ერთი საპატიო მოვალეობა ის არის, რომ ყოველდღიურად არაერთი ადამიანისთვის ხარ საჭირო. შენი დახმარება ან რჩევა მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის, მათი მშობლებისთვის, კოლეგებისთვის, საზოგადოების წევრებისთვის. ყოველთვის მოიძებნება ვიღაც, ვისაც სჭირდები, ვისაც რაღაც სურს შენგან.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ

სასკოლო აქტივობა

ვქმნით პროდუქციას პირდაპირი მნიშვნელობით, სწავლება საოცრად პროდუქტიულია. რომელი პროდუქცია შეედრება იმას, როცა ერთმანეთს შევადარებთ მოსწავლის ცოდნის დონეს სასწავლო წლის დასაწყისში, სასწავლო წლის ბოლოს და აღმოვაჩენთ იმ პროგრესს, რომელსაც აღსაზრდელმა მიაღწია. ცოდნის ამაღლებაა სწორედ ის პროდუქტი, რომლის წარმოებაც მხოლოდ განმანათლებელს შეუძლია. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია არა მარტო ვაწარმოოთ პროდუქცია, არამედ გავზომოთ კიდეც ის.

საკლასო ოთახის კარი ყველასათვის ღიაა, ხოლო მასწავლებელი კაცობრიობის ამ საუკეთესო ნაწილის პორტალთან იმ რწმენით დგას, რომ თითოეულ მოსწავლეში არის საოცარი ძალა და მას ნამდვილად შეუძლია გახდეს წარმატებული ადამიანი.

დისკუსიას ესწრებოდნენ: **ჟანა ჩიმჩიური** (დირექტორის მოადგილე), ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **მანანა ბაქრაძე,** ქიმიის მასწავლებელი **მანანა ლომიძე** (პედსაბჭოს თავმჯდომარე), XIIბ კლასის დამრიგებელი **მარინა კაციაშვილი** (მათემატიკის მასწავლებელი), ასევე სპეცპედაგოგი **მარიკა მაღლაკელიძე**; მანდატურები: **თეა ბაღდადაშვილი, აჩიკო გირკელიძე, ეკატერინე სულთანიშვილი** და პარალელური – XII^ა კლასის მოსწავლეები. დირექტორის მოადგილემ **დალილა ზუხბაიამ** ასე გააანალიზა გაკვეთილი: *მისასალმებელია, რომ სკოლას არჩეული აქვს საგანი „ეკონომიკა და სახელმწიფო“. სწორედ ამიტომ ჩვენი მეთორმეტეკლასელების უმრავლესობა ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის მიმართულებებზე აბარებს. სკოლაშივე სწავლობენ ეკონომიკის შესავალ ნაწილს. სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულები (ამჟამად ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის მიმართულების მოწინავე სტუდენტები, სხვადასხვა სასწავლო კურსის ეფექტიანად დაძლევის მიზნით, მათთვის სასარგებლო რჩევების მისაღებად, დღემდე ხშირად მიმართავენ თავიანთ ყოფილ მასწავლებელს – ასმათ შამუგიას.*

სასიამოვნოა, როდესაც გვყავს ასეთი ახალგაზრდა (სულ რაღაც 29 წლის) ეკონომიკის დოქტორი, რომელიც ყოველ გაკვეთილზე თანამედროვე ინტერაქტიულ სწავლა/სწავლების მეთოდებს იყენებს და მეთორმეტეკლასელებს სისტემატურად ინოვაციურ, სახალისო, მიმზიდველ სასწავლო გარემოს უქმნის. სკოლაში ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, თუ როგორ უყვართ ასმათ შამუგია მოსწავლეებსა და კოლეგებს.

აღსანიშნავია, რომ პრეზენტაციაში მონაწილე XII^ბ და XII^გ კლასები დაჯილდოვდნენ სიგელებით; თითოეულ მონაწილეს პერსონალურად

გადაეცა სხვადასხვა ნომინაციის შესაბამისი სიგელი. ნომინაციები დაწესდა აგრეთვე მანდატურებისთვის: **თეა ბაღდადაშვილს** – „მის მზრუნველი“, **აჩიკო გირკელიძეს** – „მისტერ მზრუნველი“; „მის ჟიური“ მიენიჭა სკოლის სპეცპედაგოგს – **მარიკა მაღლაკელიძეს.**

ვიქტორია ცაგარეიშვილი

იუბილე

შენით ვამაყობთ ჩვენო გამზრდელო



არიან ღვთის ნიშნით გამორჩეული ადამიანები, რომლებიც სიკეთეს, სიყვარულს, სათნოებას თესენ, ზრდიან, ქმნიან, აშენებენ, იღვწიან, იწვიან და სხვებს გზას უნათებენ. სწორედ ასეთი, რჩეულთა შორის რჩეული, სულით ძლიერი, პედაგოგიური და ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნება, საქვეყნო საქმეებისადმი გულანთებული მამულიშვილი გახლავთ ფერიის საჯარო სკოლის ღირსების ორდენოსანი პედაგოგი, სანაქებო გეოგრაფი, 90 წელს მიღწეული ჭეშმარიტი მოძღვარი **ვახტანგ მაკარაძე**.

ბატონ ვახტანგს ღვთისგან აქვს მომადლებული მასწავლებლის, სხვებზე სიხარულის მინიჭების ნიჭი და ისიც ქვეყნის, ადამიანების, განათლების, ბავშვების, სიკეთის სამსახურში იღვწის და იხარჯება. „ღვთიური ნაპერწკლით“ ანთებული, თხემით ტერფამდე პედაგოგი და ჭეშმარიტი მოძღვარი მთლიანად შეერწყა და შეესისხლხორცა სკოლას, განათლების სისტემას.

ისტორიული მარეთის ულამაზესი ხეობიდან, ბაღვით გადაშლილ სოფელ ოლადაურიდან დაიწყო მისი ხატიმამული. ორგანიზატორული ნიჭით, საზრიანობითა და მიზანმიმართულობით გამორჩეულ მოსწავლეს წერა-კითხვის უცოდინართა საღიკვიდაციო ჯგუფის მასწავლებლობა დაავალეს. ხოლო შვიდკლასდამთავრებული ჭაბუკი კავშირგაბმულობის ოლადაურის სააგენტოს გამგედ დანიშნეს. ჩინებულად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, თუმცა ცოდნის დაუფლების წყურვილმა მანამდე არ მოასვენა, სანამ ხიხაძირის საშუალო სკოლაში არ გაანგრძო სწავლა. სრული კურსი კი ბათუმის №9 სკოლაში დაასრულა. იმავე წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტია. ცოდნის ტაძარმა ულამაზესი ფურცლები შემატა ჩემი ცხოვრების წიგნსო, – ამბობს იგი და სიყვარულით იხსენებს ლექტორ-მასწავლებლებს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს მომავალი პედაგოგის პროფესიულ დაოსტატებაში.

1952 წელს ვახტანგ მაკარაძემ წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მშობლიურ სკოლაში გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მაძიებელი, მოაზროვნე, ენთუზიასტი პედაგოგი საქმის სიყვარულით თავდაუზოგავად შრომობდა და იხარჯებოდა.

ნოვატორი პედაგოგი შუახევის ცალკე რაიონად შექმნის დღიდან გადაყვანილ იქნა რაიონის კინოფიკაციის გამგედ. ხოლო 1953 წლიდან შუახევის საშუალო სკოლას ჩაუდგა სათავეში. სკოლა მალე გამოირჩა წესრიგით, მოსწავლეთა სანიმუშო ყოფაქცევით, მაღალი აკადემიური მოსწრებითა და სანაქებო აღმზრდელ-პედაგოგებით. წინამძღოლობისა და სკოლის მართვის ნიჭით გამორჩეული ხელმძღვანელი, 1961 წელს, განათლების განყოფილების გამგედ დააწინაურეს. ამ პოსტზე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ბატონი ვახტანგის მაღალი ერუდიცია, პროფესიონალიზმი და ორგანიზატორული შესაძლებლობანი, რომლებიც შერწყმული იყო დიდ შრომისმოყვარეობასა და საქმის სიყვარულთან. 12 წლის განმავლობაში იგი ძალას და ენერგიას არ იშურებდა მის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად. დარსა თუ ავდარში, წვიმასა თუ თოვლში დღენიადაგ სკოლებში, პედაგოგებთან იყო და მათთან ერთად ყველაფერს აკეთებდა სავალდებულო საყოველთაო საშუალო განათლების, დაწყებითი სამხედრო სწავლების განხორციელების, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ადგილობრივი ინტელიგენციის ზრდისა და მომავლის ღირსეული მოქალაქეების აღსაზრდელად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან წარმატებით გაართვა თავი დიდ ეროვნულ საქმეს – მარტო 1973-1975 წლებში აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა საბავშვო ბაღაბაღების, დაწყებითი, რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და სასკოლო ინტერნატების 80-მდე შენობა. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ვახტანგ მაკარაძის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით შუბანსა და ჩირუხში მოსწავლეთა ბანაკები გაიხსნა, სადაც როგორც შუახევის, ისე მეზობელი რაიონების ასობით ბავშვი ისვენებდა. ხელოვანი პედაგოგი წუხს და გული სტკივა იმის გამო, რომ კარგად დაწყებული საქმე ბოლო წლებში მივიწყებას მიეცა. მისი სურვილია, მთა ჩირუხი კვლავ ჩადგეს ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი წრთობის სამსახურში.

1963 წელს, შუახევის რაიონის ხულოს რაიონთან შეერთების გამო, ვახტანგ მაკარაძე ოლადაურის საშუალო სკოლის დირექტორად გადაჰყავთ. 1967 წელს კი, შუახევის რაიონის აღდგენის შემდეგ, კვლავ განათლების განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. შემოქმედებითი და წარმატებული მუშაობის აღიარება იყო მისი აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დანინაურება. ბატონი ვახტანგი აქაც ჩვეული შემართებით იღვწოდა და დღენიადაგ იხარჯებოდა, რათა ინსტიტუტი მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატების ნამდვილი კერა გამხდარიყო. პარალელურად, გეოგრაფიას ასწავლიდა ბათუმის №6 საშუალო სკოლაში. ამჟამად კი გეოგრაფიული მეცნიერების ხიბლს ფერიის საჯარო სკოლის მოსწავლეებს აზიარებს. ღვაწლმოსილი პედაგოგი კვლავ ახალგაზრდული შემართებითაა. ის არ ივიწყებს კ. უშინსკის სიტყვებს: „მასწავლებელი მანამადე ცოცხლობს, ვიდრე სწავლობს, როგორც კი სწავლას შეწყვეტს მასში კვდება მასწავლებელი“. ამიტომაც, ყოველთვის ახალი, საინტერესო მასალით შედის გაკვეთილზე, წვდება თითოეული ბავშვის სულიერ სამყაროს. ყოველ მათგანში ამჩნევს გამორჩეულ უნარს. „მოსწავლე ჭურჭელი არ არის პირთამდე ასავსები, არამედ სანთელია, რომელიც უნდა აანთო“, – ამბობს ღვაწლმოსილი პედაგოგი, რომელიც ამ სულისკვეთებით მუხტავს გაკვეთილის ყველა მასალას.

პროგრამული მასალის მტკიცედ და საფუძვლიანად დაუფლების მიზნით, გაკვეთილების პარალელურად, უნარიანად იყენებს კლასგარეშე მუშაობის მრავალფეროვან ფორმებს. იშვიათად მოიძებნება საქართველოში პედაგოგი, რომელსაც ისეთი თვალსაჩინო წარმატებები ჰქონდეს მუშაობაში, როგორც ბატონ ვახტანგ მაკარაძეს აქვს. მისი მოსწავლეები ყოველთვის იმარჯვებენ ოლიმპიადებსა და შემოქმედებით კონფერენციებში. ფერიის საჯარო სკოლიდან მისი 14 მოსწავლე საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექციამ პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა (აღარაფერს ვამბობთ სხვა სკოლებში მუშაობის დროს გამარჯვებულ მის მოსწავლეებზე).

მოზარდებში მშობლიური მიწაწყლის სიყვარულისა და ეროვნული სიამაყის გრძნობის გაღვივებისთვის ეფექტიანად იყენებს ექსკურსიებს. ვინ მოთვლის, შვიდი ათეული წლის განმავლობაში, რამდენ მოზარდს მოატარა საქართველოს მთა-ბარი – ვარძიის, სვეტიცხოვლის, გელათის, ზარზმის, თმოგვის, ხერთვისის, ნიკორწმინდის, ახალი ათონის, ციცხვათის და სხვა ხელთუქმნელი ქმნილებების ხიბლი აგრძნობინა.

ვახტანგ მაკარაძე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. დიდი სამამულო ომის წლებში სამხრეთი საზღვრების (აჭარა-შავშეთის ქედზე) გამაგრებისა და ფრონტის დასახმარებლად გაწეული დიდი წვლილისათვის იგი მედლით „დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“ დაჯილდოვდა.

აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული დამსახურება შუახევის რაიონის დაარსებასა (დაარსდა1952 წელს) და შემდგომში გაუქმებული რაიონის აღდგენაში. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც 1998 წელს სათავეში ჩაუდგა მარეთის ხეობაში წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობას. ამაგდარი პედაგოგის სახელს უკავშირდება ასევე, 20-ნლიანი ძიების შემდეგ, სამების ეკლესიის (XIV-XVსს) ნანგრევების აღმოჩენა. მას დიდი წვლილი მიუძღვის აღნიშნული ტაძრის აღდგენაში. საგულისხმოა, რომ 80 წლის ასაკში, მასთან ერთად, მთელი მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი, ქრისტიანულად მოინათლა, დაუბრუნდა მამა-პაპისეულ რწმენას.

კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი. ღვაწლმოსილი პედაგოგი დაინტერესა სოფელ გორას (ხელვაჩაურის რაიონი) ნორჩი მოქალაქეების ბედმა – სოფელში არ ჰქონდათ სკოლა. ბატონი ვახტანგის ინიციატივითა და ძალისხმევით, გორაში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, რომელიც შემდგომ საბაზო სკოლად გადაკეთდა.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და თანამედროვე ცხოვრებით ნაკარნახევ საკითხებზე იგი სისტემატურად აქვეყნებს პუბლიცისტურ წერილებს, ნარკვევებს, სტატიებს. არის 300-ზე მეტი წერილის და ნაშრომის ავტორი. 2006 წელს გამოიცა მისი სქელტანიანი წიგნი „გამონათლევის გამონათება“, რომელიც დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა.

ვახტანგ მაკარაძის მამულიშვილურ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე წერდნენ და წერენ არა მარტო მისი აღზრდილები, არამედ ცნობილი ადამიანები, მეცნიერები, მწერლები, განათლების დარგის მუშაკები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების ყოფილი მინისტრები: ვახტანგ წულუკიძე, არჩილ ტაკიძე, ნანი გუგუნავა; პროფესორები: ანზორ დიასამიძე, თამაზ ფუტკარაძე, ვლადიმერ და შოთა მაკარაძეები... წერენ, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მასწავლებელი, როგორ უნდა ემსახუროს მშობელ ხალხს და სამშობლოს, როგორ მოიხადოს მამულიშვილური ვალი ქვეყნის წინაშე.

უანგარო და თავდადებული შრომა ჯეროვნად დაუფასდა ღვაწლმოსილ პედაგოგს. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით (ორჯერ), თორმეტი მედლით (მათ შორის იაკობ გოგებაშვილის მედლით), დიპლომებით, საპატიო სიგელებით. მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება, საქართველოს პრეზიდენტისა და ზაქარია ჭიჭინაძის პრემიები. მარეთის ხეობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის პირველს მიენიჭა „საპატიო მარეთელის“ წოდება, არის „საპატიო შუახეველი“, იყო სხვადასხვა არჩევითი ორგანოს დეპუტატი, მასწავლებელთა ყრილობების დელეგატი, არჩეულია სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა დასის აჭარის სადროშოს წევრად, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორად, ფაზისის აკადემიის ნამდვილ წევრად. ახლახანკი, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, საკრებულომ და საზოგადოებრივმა კავშირმა „მარეთი“ ღვაწლმოსილ პედაგოგს, ხეობის მრავალი თაობის აღმრზდელსა და დამრიგებელს, პუბლიცისტს, დამსახურებულ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს „ხეობის მოძღვრის“ საპატიო წოდება მიანიჭა.

სამაგალითო ოჯახი შექმნა ბატონმა ვახტანგმა. მის ძირძველ, ქართულ კერაზე სამაგალითო შვილები და შვილიშვილები აღიზარდნენ. ამ დიდ ოჯახში 20-ზე მეტი უმაღლესდამთავრებულია. შვილთაშვილები, რომლებიც ამჟამად მოსწავლეები და სტუდენტები არიან, კიდევ უფრო გაზრდიან ამ რაოდენობას.

ვულოცავთ ბატონ ვახტანგს დაბადების 90 და პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 70 წლისთავს. ღმერთმა ახაროს, გააძლიეროს და აბედნიეროს, თავის ოჯახთან ერთად.

პროფესორები:
სერგო დუმბაძე,
ვლადიმერ მახარაძე,
აკაკი ზოიძე

სასკოლო აქტივობა

არა ძალადობას

2014 წლის 10 დეკემბერს, „ადამიანის უფლებათა დაცვის“ დღესთან დაკავშირებით, სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლაში ჩატარდა აქციაპროექტი „ჩვენ ვიცავთ თანატოლთა უფლებებს“. პროექტს ხელმძღვანელობდა არგვეთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ნადია ჭიღლაძე**. აქციის მონაწილეები ბავშვთა მიმართ გამოჩენილ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას აპროტესტებდნენ. მოსწავლეებმა დაამზადეს პლაკატები, შექმნეს ესეები თემაზე „არა ძალადობას“. შეირჩა ორი საუკეთესო ესე, რომელიც აქციაზე თავად ავტორებმა წაიკითხეს. იმ დღეს ძალადობის თემაზე შექმნილი ნახატების გამოფენა და ვიდეორგოლის – „მარკესის უკანასკნელი სიტყვა“ – ჩვენება მოეწყო.

„მე შევცვალე სამყარო“
ნანა შაორშაძე, VIII კლასის მოსწავლე

ყოველდღიურ ცხოვრებაში, ალბათ, ყველას გაგვიგონია სხვადასხვა ისტორია ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებით. ყველას შეგვეცოდება, თვალზე ცრემლი მოგვადგება და დახმარება მოგვინდება, მაგრამ მხოლოდ ერთი დღით... მეორე დღეს კი ჩვეულებრივად განვაგრძობთ ცხოვრებას და წამითაც აღარ გაგვახსენდება ეს ადამიანები... ბევრია შემთხვევა სიტყვიერი შეურაცხყოფისა, ბევრს ჩაგრავენ, ბევრს ამცირებენ, ბევრს სულში აფურთხებენ. ჩვენ ამას ვხედავთ, ვხედავთ ყოველ წამს, მაგრამ არაფერს ვაკეთებთ ამის შესაცვლელად. გვეშინია... გვეშინია, რომ თუ მათ დავეხმარებით, მალე ჩვენზეც გადმოვლენ და ამ შიშში გადის დღეები, თვეები, წლები, მთელი ჩვენი ცხოვრება.

ჩვენ კი კვლავ გვეშინია.

სწორედ ეს არის უბედურება, სანამ შენ არაფერს გერჩიან, სხვისი არ გაწუხებს. მოვა დრო და შენზეც გადმოვლენ, მაშინ ის სხვა აღარ ამოიღებს ხმას. დაიტანჯები, დაიტანჯები ისე, როგორც ის იტანჯებოდა. იგი შემოგხედავს, შეჩერდება, გაიღიმებს და ისევ განაგრძობს გზას. სანამ ასე გრძელდება, სანამ ხმას არ ვიღებთ, ქვეყანა თავზე გვემხობა. და შენ, რომელიც ამას უყურებ ყოველ დღე, ყოველ წამს, გაქვს სიტყვის თავისუფლება. სწორედ შენ შეგიძლია შეცვალო ყოველივე და როცა ამას შეძლებ, როცა შედეგს დაინახავ, გაიღიმებ და იტყვი: „მე შევცვალე სამყარო“. მრავალი წლის შემდეგ ისინიც იმავეს გაიმეორებენ და ეს სამი სიტყვა სიმღერასავით გაიჟღერებს ყოველი მხრიდან, მსოფლიოს ყველა კუთხიდან – „მე შევცვალე სამყარო“.

„ნაბიჯი თანადგომისკენ“
ნიკა გულიაშვილი, IX კლასის მოსწავლე

ვფიქრობ, საქართველოში ყველაზე დიდი პრობლემა ძალადობაა, რომელიც გამოიხატება როგორც სიტყვიერად, ასევე ფიზიკურად. არავის აქვს უფლება, სხვა ადამიანს მიაყენოს სიტყვიერი შეურაცხყოფა ან მას ხელით შეეხოს.

უფალმა თითოეული ადამიანი თანასწორი გაგვაჩინა. ამის გამო ყველა უნდა ვეცადოთ, რომ მოვთოკოთ საკუთარი თავი. მეც ბევრჯერ მომსვლია კონფლიქტი თანაკლასელებთან, მეგობრებთან, ნაცნობებთან და ხშირად მიმიყენებია მათთვის შეურაცხყოფა და დამიმცირებია, რასაც გულწრფელად ვნანობ. ვინ ვარ მე? – ვიცი, რომ არ ვარ ღმერთი და ვიცი, რომ მხოლოდ ღმერთს აქვს განსჯის უფლება. აქედან გამომდინარე, მე არაფრით ვარ სხვაზე უკეთესი და უნაკლო. ნაკლი ყველას აქვს და არც მე ვარ გამონაკლისი. ვცდილობ, უთანხმოება არ გავამწვავო, მაგრამ ხშირად ჩემს მეტოქეს არ სურს კონფლიქტის მოგვარება და მეც იძულებული ვარ, დავუპირისპირდე.

საქართველოში ბევრია ოჯახში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი – მამაკაცები ძალადობენ სუსტი სქესის წარმომადგენლებზე, რაც უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე. იგი ხდება მშობლის მსგავსად აგრესიული, როგორც ოჯახის წევრების, ასევე მეგობრების და თანაკლასელების მიმართ. მოზარდი ხდება უნებლიე დამნაშავე. შესაბამისად, იზრდება მოზარდთა დანაშაულის სტატისტიკაც.

როცა შევნიშნავთ ძალადობის ფაქტს, კი არ უნდა გავიაროთ და ვთქვათ – ეს მე არ მეხება, არამედ მივიდეთ და რაღაც ვიღონოთ. მართალია, ეს მათ ოჯახს ეხება, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ჩავერიოთ და სიტუაცია განვმუხტოთ.

გადავხედოთ სხვა ქვეყნებს: ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს, ყველგან მოგვარებულია ეს პრობლემა. საქართველოში კი პირიქით, იმატებს. ალბათ ეს გამოწვეულია ამ ადამიანების განათლების დაბალი დონით. მუშტიკრივით საქმის მოგვარება არ შეიძლება.

მოვუწოდებ თითოეულ ადამიანს, დავიცვათ სუსტი სქესი და პატივი ვცეთ მათ. დავიცვათ ქრისტეს ათი მცნება და ყველაფერი ადვილად გამოგვივა.

სიხარულისგან აკირებული ჰერმან ვედეკინდი

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გეგუთის №1 საჯარო სკოლა (დირექტორი – **მაია მამისეიშვილი**) ტრადიციებით მდიდარი და მიღწევებით გამორჩეული სკოლაა. გერმანული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ **ხათუნა მინდიაშვილთან** 5 წელზე მეტი კოლეგიალური და შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებს. პირადი კონტაქტები, ბუნებრივია, სასკოლო ურთიერთობებშიც გადაიზარდა და დღეს სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსების საჯარო სკოლა (დირექტორი – **თამარ ზარნაძე**) და გეგუთის №1 საჯარო სკოლა პარტნიორი სკოლებია. გეგუთელმა და კურსებელმა მოსწავლეებმა არაერთი ერთობლივი საინტერესო პროექტი განახორციელეს გერმანულ ენაზე. სასწავლო წლის დასაწყისში გეგუთის სკოლამ უმასპინძლა ცნობილ პროექტს „ეტალონი“, ჟიურის საპატიო წევრი, ქუთაისის უნივერსიტეტში მოღვაწე გერმანელ ლექტორ **დიანა შლუხტმანთან** ერთად, მეც გახლდით.

ამის შემდეგ ჩემი კოლეგა კურსების საჯარო სკოლაში მოვიწვიე გამოცდილების გასაზიარებლად: როგორ დავიწყე და რა შედეგებს მივაღწიე გერმანული ენის სწავლების პირველ წელს მე-6 კლასში. დეკემბრის მიწურულს ისევ მივიღეთ მიწვევა ჩვენი პარტნიორი სკოლისგან, ამჯერად ღონისძიების მიზანი გერმანული საშობაო და საახალწლო ტრადიციების წარმოდგენა იყო. ბუნებრივია, მიწვევას დიდი სიამოვნებით დავთანხმდი და ჩემს სადამრიგებლო მე-11 კლასის მოსწავლეებთან ერთად, გავეშურე პარტნიორ სკოლაში.

სკოლის დირექტორი, ქალბატონი მაია და ყველა პედაგოგი თავაზიანად და სიხარულით შეხვდა ჩვენს მოსწავლეებს, გააცნეს თავიანთი სკოლის ისტორია, მოსწავლეთა წარმატებები სხვადასხვა პროექტებში, ღონისძიებებში, სპორტში. აქვე დაიგეგმა ერთობლივი გაკვეთილის ჩატარება ქიმიაში, ყველამ იცის რომ მე-11 კლასის მოსწავლეები გაზაფხულზე ამ საგანში აბიტურს აბარებენ და დაგეგმილი პროექტი ორივე სკოლის მოსწავლეებს სასიკეთოდ წაადგება.

საახალწლო და საშობაო ღონისძიების წარმოდგენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იგი შესანიშნავად იყო გაშუქებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (ისტ-ის პედაგოგი – **მარინა კუპრავა**). აღსანიშნავია, რომ ამჯერად გერმანული ენის პედაგოგმა ღონისძიების მონაწილეები მე-5, მე-6, მე-7 კლასებიდან შეარჩია, რადგან კარგად დაწყებული სწავლა მოტივაციას ქმნის ენის შემდგომ საფეხურებზე შესწავლისათვის. მოსწავლეებმა ისაუბრეს გერმანულენოვანი ქვეყნების საშობაო ტრადიციებზე, შეასრულეს სიმღერები, ლექსები, ინსცენირებები. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს: **გიორგი შენგელიამ, მარი ბრეგვაძემ, გიგა ჩოგოვაძემ, ნათია დაშნიანმა, ილია კილაძემ, თეკლა მჟავანაძემ, ელენე კილაძემ, ნათია ფერაძემ, ილია მუშკუდიანმა**.

კურსებელმა მე-11 კლასელებმა მოსწავლეებთან ერთად შეასრულეს საშობაო სიმღერები, შემდეგ გააცნეს დამსწრე საზოგადოებას „Adventkalender“ მნიშვნელობა გერმანულენოვან ქვეყნებში და მოახდინეს მისი მოკლე პრეზენტაცია.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ახლომდებრე სკოლების გერმანული ენის პედაგოგები და გეგუთის კულტურის სახლის ამაგდარი დირექტორი, ქალბატონი **ლია ხოტივარი**.

ქალბატონმა ლიამ სიამოვნებით გაიხსენა გერმანული ენის სწავლების ტრადიციები გეგუთის სკოლაში და უამრავი პროექტი და ღონისძიება, რომელიც ქალბატონმა ხათუნა მინდიაშვილმა კლუბის სცენაზე წარმოადგინა. საზოგადოებას ცრემლი მოჰგვარა წლების წინ ჩატარებული, გერმანელი პოეტის, ჰაინრიხ ჰაინეს შემოქმედებითი საღამოს გახსენებამ. ამ საღამოს ესწრებოდა საქართველოს საპატიო მოქალაქე, გერმანიის ზაარლანდის მხარის და საქართველოს დამეგობრების მოთავე ბატონი **ჰერმან ვედეკინდი.** ბატონმა ჰერმანმა აღნიშნა, რომ მისი მოსწავლეობის დროს, ჰაინრიხ ჰაინეს სწავლება გერმანულ სკოლებში აკრძალული იყო და ის ბედნიერია, რადგან მის შემოქმედებას გაეცნო საქართველოში, გეგუთის კულტურის სახლში, ქართველი მოსწავლეებისგან. ბატონ ჰერმან ვედეკინდმა ამ დღეს სიხარულისაგან იტირა.

ძალზე კმაყოფილი და ნასიამოვნები გამოვემშვიდობეთ ჩვენს პარტნიორ სკოლას. ბუნებრივია, მომდევნო ვიზიტი გაზაფხულზე ჩვენს სკოლაში განხორციელდება, რომლის შესახებაც კვლავ სიამოვნებით გაცნობებთ.

ნატო აბესაძე
სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსების საჯარო სკოლის გერმანული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

ესენინი და „ცისფერყანწელები“

თანამედროვე პედაგოგიკაში პროექტზე მუშაობა განსაკუთრებით აქტუალურია, რაც მოსწავლე/მასწავლებლებს აძლევს კვლევა-ძიებითი მუშაობით შეძენილი მნიშვნელოვანი გამოცდილების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას, ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელებას. ეფექტური საგანმანათლებლო პროექტების გამოყენება კარგი საშუალებაა მოსწავლეთა მიდრეკილებების წარმოსაჩენად და გასავითარებლად. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ჩხორიის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივით განხორციელებული ინტეგრირებული პროექტი „ესენინი და „ცისფერყანწელები“ (ხელმძღვანელები: **ლულა ხვიჩავა**, **თეა ფიფია**). პროექტის თემატიკა განისაზღვრა სასწავლო კურსის საპროგრამო მასალის მიხედვით, რომელიც კარგ საშუალებას იძლეოდა მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გასავითარებლად. სხვადასხვა დისციპლინით მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ინტეგრირება ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მიზანია. გამოიკვეთა პრობლემა – მოსწავლეებს მწირი ინფორმაცია ჰქონდათ „ცისფერყანწელების“ და რუსი პოეტების მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე, მათ სიყვარულზე საქართველოსადმი. მუშაობის პროცესი ეტაპებად დაიყო, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით. თითოეულ ჯგუფს სხვადასხვა ტიპის დავალებები მიეცა.

პირველ ეტაპზე, პირველმა ჯგუფმა სერგეი ესენინის ბიოგრაფიული ცნობები მოიძია, ესენინის ლექსების ძველი და თანამედროვე თარგმანები;

მეორემ – ესენინის ლექსები საქართველოსა და კავკასიაზე, ასევე ესენინისადმი მიძღვნილი ქართველი პოეტების ლექსები;

მესამე ჯგუფმა – მასალა ესენინის ურთიერთობაზე „ცისფერყანწელებთან“, კაფე „ქიმერიონზე“ და მის სტუმრებზე, ნინო ტაბიძის მოგონებები ესენინზე;

მეოთხე ჯგუფმა შეაგროვა მასალა „ცისფერყანწელებისა“ და ესენინის ცხოვრებაზე. მოიძიეს რომანსები ესენინის ლექსებზე, ასევე ფოტომასალა, წიგნები საგამოფენოდ, შექმნეს ვიდეორგოლები.

მოსწავლეთა მუშაობაზე დაკვირვება შუალედურად ხდებოდა. თითოეულ ჯგუფში გამოიკვეთა ლიდერი და გადანაწილდა მოვალეობები, ვინ რას გააკეთებდა, შეირჩა კონკრეტული საქმიანობის შედეგებზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლეები მოტივირებულნი იყვნენ. მათი მოტივაცია განაპირობა „ცისფერყანწელების“ ცხოვრებისეული დეტალებით დაინტერესებამ და სურვილმა ღონისძიება საინტერესო გამოსულიყო. მოცემული დავალებების მიხედვით, მოსწავლეები აწარმოებდნენ კვლევა-ძიებით მუშაობას ისტ-ის კაბინეტში, გაკვეთილების შემდეგ. ეს შეხვედრები სისტემატური და საქმიანი იყო. ჯგუფებში აღმოჩნდენ პასიური მოსწავლეებიც. ჩვენ, მასწავლებლები ვგრძნობდით, როდის იყო საჭირო ჩარევა. ვახდენდით პროვოცირებას მათი პასიური მდგომარეობიდან აქტიურ მდგომარეობაში გადასაყვანად. მაგალითად, ზოგიერთი მოსწავლე პასუხისმგებლობას გაურბოდა. შუალედური შეფასება დაგვეხმარა დაგვენახა მუშაობის პროცესში დაშვებული ხარვეზები. შევძელით მათი გამოსწორება და დასახული ამოცანების ადაპტირება, ამან კი ხელი შეუწყო პროექტის წარმატებით განხორციელებას და სასურველი შედეგის მიღებას.

პროექტის განხორციელებამ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე იმოქმედა. მოსწავლეებმა გაიმდიდრეს ცოდნა „ცისფერყანწელებზე“ და ესენინზე, უკეთ გაეცნენ მეოცე საუკუნის 20-იანი წლების რუსულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობებს, იმდროინდელი მხატვრების შემოქმედებას, განსაკუთრებით გუდიაშვილის, სუდეიკინის... ისწავლეს ლექსები, გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი, განუვითარდათ მხატვრული კითხვის უნარი, მეტყველების კულტურა, შემოქმედებითი, კვლევითი, თანამშრომლობითი და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები; გამოავლინეს წარმოდგენილი მასალების ცოდნა, არგუმენტირების, დასკვნის გამოტანისა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; წარმოადგინეს ვიზუალური მასალა, რითაც უფრო მიმზიდველი გახადეს პრეზენტაცია.

ჯგუფებმა შეაფასეს პრეზენტაციები. თვით სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლეებიც აქტიურად ჩაებნენ მუშაობაში. იღებდნენ ფოტოსურათებს და ვიდეოს. მოსწავლეებმა დაამზადეს ბუკლეტები, მოსაწვევი ბარათები, გამოუშვეს კედლის გაზეთები. შექმნეს ვიდეორგოლები, ნახატები ცისფერყანწელებისა და ესენინის ლექსების მიხედვით, გააკეთეს ჩანახატები. მოეწყო ვიქტორინა თემაზე „რა ვიცით ქართველი „ცისფერყანწელებისა“ და ესენინის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე“. მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო მასალა გამოყენებული იქნება გაკვეთილებზე და კლასგარეშე მუშაობისას, რაც უფრო მიმზიდველს გახდის გაკვეთილებს. პროექტის დასასრულს მოეწყო ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო.

ლამაზად მორთული დარბაზი, მრგვალი მაგიდები თეთრი სუფრებით, კედელზე – გუდიაშვილისა და სუდეიკინის ნახატები, ყვავილები, შანდლები, კარებზე წარწერა – კაფე „ქიმერიონი” – „ცისფერყანწელების” თავშეყრის ადგილს მოგვაგონებდა.

ცენტრალურ კედელზე სლაიდები, წარწერები: „ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს, ესენინ ყავდა ძმად ცისფერ ორდენს“, „აქ მრავალია ცისფერი ფერი, ეს ფერი მარად თვალს ეყვარება“. ქართული რომანსის ფონზე გალაკტიონის ლექსი „თოვლი“... ერთმანეთს ცვლიდა ქართულ და რუსულ ენებზე ესენინის, ტიციანის, პაოლოს, გიორგი ლეონიძისა და სხვათა ლექსები, მოგონებები, რომანსები, ცეკვები.

პროექტის აქტიურ მონაწილეებს და ვიქტორინაში გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ დიპლომები.

პროექტზე მუშაობისას, დასახული პრობლემის გადაჭრის გზების ძიების პროცესში, მოსწავლეებმა ნათლად დაინახეს, რომ საჭიროა უფრო ფართო აზროვნება, ცოდნა და სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ურთიერთკავშირი. ისტ-ის გამოყენებამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირებას და კლასგარეშე სწავლას. ისტ-ის გარეშე ვერ შეიქმნებოდა ელექტრონული რესურსები, ვერ მოხერხდებოდა ფართო საზოგადოებისათვის მათი გაცნობა და აზრის გაზიარება. სწავლების ეს მოდელი ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას, მოსწავლეს აძლევს არსებულ ცოდნასთან ახალი ცოდნის შერწყმის და კონკრეტულ საგანში მსჯელობის უნარ-ჩვევებს. კოლეგებისთვის საინტერესო აღმოჩნდა ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტი და გამოითქვა სურვილი, რომ მსგავსი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას უფრო სისტემატური ხასიათი მიეცეს.

იზოლდა ხვიჩავა
ჩხორიის სკოლის დირექტორი

ინფორმაცია

განათლების სისტემის თანამშრომელთა ტრენინგი და საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) მხარდაჭერითა და ორგანიზებით, განათლების სისტემის თანამშრომელთა ტრენინგი და საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა, სადაც პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების საკითხები განიხილეს.

სამოქმედო გეგმის ნაწილი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა პროფესიულ განათლებაში, დუალური განათლების კომპონენტების პილოტირება და ა.შ. შეხვედრაზე ასევე განხორციელდა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება, რაც აუცილებელია, რათა განისაზღვროს კონკრეტული აქტივობების განხორციელების ეფექტურობა.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით, საქართველოს რიგი ვალდებულებები დაეკისრა, ერთ-ერთი ასეთი ვალდებულება პროფესიულ განათლებას უკავშირდება. კერძოდ, უნდა მოხდეს პროფესიული განათლების მორგება და დაახლოება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან. ამ კუთხით, 2015 წელი მნიშვნელოვანი იქნება, რადგან პროფესიული განათლების განვითარების სამოქმედო გეგმა არის ძალიან დატვირთული და მრავალპუნქტიანი. მისი ეფექტური განხორციელებისთვის საჭიროა სხვადასხვა უწყებების აქტიური ჩართულობა, ასევე უმნიშვნელოვანესია დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა და დახმარება.

„ექსკურსია თეატრებში“ პროექტი სკოლის მოსწავლეებისთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იწყებს მასშტაბურ პროექტს სკოლის მოსწავლეებისთვის – „ექსკურსია თეატრებში“, რომლის მიზანიც სკოლის მოსწავლეების თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებაა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა **მიხეილ გიორგაძემ** და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** ბრიფინგი გამართეს.

პროექტის „ექსკურსია თეატრებში“ ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, ყველა სკოლის მოსწავლეს საშუალება ექნება ესტუმროს სასურველ თეატრს, დაათვალიეროს სცენა, საგრიმიორო, კულისები, რადისტის (ხმის რეჟისორი) და გამნათებლის ოთახები, აგრეთვე დეკორაცია და თეატრალური კოსტიუმები. სკოლის მოსწავლეები გაეცნობიან თეატრის არქივს და ისტორიას, დაესწრებიან რეპეტიციას, პირადად შეხვდებიან თეატრის რეჟისორებსა და მსახიობებს, სპექტაკლებზე დასასწრებად კი, ისარგებლებენ 50%-იანი ფასდაკლებით.

პროექტის პირველ ეტაპზე ერთვება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 11 თეატრი. ეტაპობრივად, წლის ბოლომდე, პროექტში საქართველოს ყველა თეატრი ჩაერთვება.

თეატრში ექსკურსიის დასაგეგმად, დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ, ვებგვერდზე – ttp://www.culture.gov.ge/index.php?module=text&page=excursion&link_id=96 – აირჩიონ სასურველი დანიშნულება, გაეცნონ შემოთავაზებულ სერვისებს, შეავსონ განაცხადი და დაგეგმონ ექსკურსია.

წარმატება ბაქოში

ამ დღეებში ბაქოს „სერხედჯის“ სპორტულმა კომპლექსმა კიდევ ერთხელ უმასპინძლა ყარაბაღის ომში დაღუპული მუშვიგ ისაევის ტრადიციულ მემორიალს თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში, რომელშიც ამჯერად საქართველოს, აზერბაიჯანის, ირანის, რუსეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის გუნდები გამოდიოდნენ.

ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ბაქოში 6 მედალი მოიპოვეს – 3 ოქრო და ამდენივე ბრინჯაო. **გიორგი იანტბელიძის** შეგირდებიდან ჩემპიონები **ივანე გოდელაშვილი** (54), **ივერიკო ჯულაყიძე** (69) და **დემურ მეგენეიშვილი** (76) გახდნენ, მესამე საპრიზო ადგილზე კი **გოგა მამიაური** (58), **თორნიკე კვინიკაძე** (63) და **ზურაბ ურთაშვილი** (100) გავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ გადამწყვეტ პაექრობაში ჩვენმა სამივე ჩემპიონმა მასპინძელს მოუგო.

ბრინჯაოს მედლის მოპოვება ჩვენი გუნდის კიდევ ორ წევრს შეეძლო – **გია უღრელიძეს** (42) და **გიორგი ბრეგვაძეს** (76), მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში დამარცხდნენ და მეხუთეზე დარჩნენ.

ამავე ტურნირში წარუმატებლად გამოვიდნენ ჩვენი ბერძენ-რომაელები. მათგან ერთადერთი მედლის – ბრინჯაოს მოპოვების შანსი მხოლოდ ბიძინა ინაშვილს (100) ჰქონდა, მაგრამ დამამშვიდებლის ფინალში ისიც დამარცხდა და უმედლოდ დარჩა.

საახალწლო თამაშები ასპინძელებს

წინასაახალწლოდ მშვენიერი საჩუქარი მიიღეს ასპინძის რამდენიმე სკოლის მოსწავლეებმა, რომლებიც ჩაბმულნი არიან მშვილდოსნობაში – ასპინძის მშვილდოსნობის დარბაზი ორი კვირის განმავლობაში მასპინძლობდა „მხიარულ სტარტებს“, რომელიც სპორტკლუბ „ჩუბინების“ დირექტორმა, რეგიონში მშვილდოსნობის დიდმა ენთუზიასტმა **ლიზა შემაზაშვილმა** მოაწყო.

სულ რაღაც ორი წელიწადია, შემაზაშვილის დიდი ენთუზიაზმით, მესხეთ-ჯავახეთში სპორტის ამ სახეობამ არსებობა დაიწყო, თუმცა ძალიან ძნელ პირობებში უწევთ მუშაობა – არაა დარბაზები, ინვენტარი... თავდაპირველად სკოლის ახალგარემონტებულ სპორტულ დარბაზშიც არ შეუშვეს, ისრებით კედლებს გაგვიფუჭებთო და მათაც ძველ დარბაზში გადაინაცვლეს, რომელიც წვიმის დროს ოდნავადაც ვერ ასრულებს თავის პირვანდელ დანიშნულებას და ფარებს დარბაზის ერთი კუთხიდან მეორეში იმის მიხედვით დაატარებდნენ, სად უფრო ნაკლებად ჩამოდიოდა წვიმის წყალი. ინვენტარი სულაც კურიოზული თემაა – ისრების ყიდვის საშუალება რომ არაა და არც არავინ დაეხმარათ, სახლში დაიწყეს მშვილდ-ისრების გამოთლა და ბევრი ხეც გამოსცადეს, თუმცა ყველაზე გამძლე გრაკლისა გამოდგა.

ეს პრობლემები დღემდე რჩება. განსაკუთრებით – ისრებისა, თორემ ძველი მშვილდები და ფარები (ამასაც თავისი ხელით ამზადებენ) როგორღაც იშოვეს. სიძნელეთა მიუხედავად, შემაზაშვილმა მაინც მოახერხა, მშვილდოსნობა დაენერგა რეგიონში – ჯერ ასპინძის მუნიციპალიტეტის სკოლებში გამოძებნა მისნაირი ენთუზიასტები, მერე ახალციხესა თუ სხვა რაიონებშიც დააარსა სექციები. დღეს რეგიონში მშვილდოსნობა ცოცხლობს.

„მხიარულ სტარტებში“ საკუთრივ ასპინძელთა გარდა, ხიზაბავრისა და დამალის მშვილდოსნებიც გამოდიოდნენ, სადაც ასევე არსებობს მოისართა კლუბები. თამაშების პროგრამაში სხვადასხვა სპორტული აქტივობა შედიოდა – ბაგირზე, ხარიხაზე, დაკიდულ კიბეზე – ეგრეთ წოდებულ „ეშმაკის კიბეზე“ ცოცვა, ტანვარჯიშულ იარაღებზე ვარჯიში, დგარებს შორის ლახტით ზიგზაგით სირბილი, თარჯებზე ხტომა, სირბილი, შეჯიბრება სროლებში, მათ შორის – მშვილდითაც და სხვა მრავალი აქტივობა, რაც სასარგებლოა ორგანიზმისთვის, მოზარდისთვის... ორგანიზატორებმა გაიხსენეს ძველი მესხური ჭიდაობა – „მხარდა გვერდა“ და ამაშიც გამართეს შეჯიბრებები, რაც ძველი სათამაშო სახეობების პროპაგანდის, აღორძინების მშვენიერი წინაპირობაა. თამაშების ორგანიზებაში შემაზაშვილს დიდ დახმარებას უწევდნენ მწვრთნელები – **გიორგი ბალახაძე, მარიამ გოგნაძე** და **გელა ლეკიშვილი**, რომლებმაც მსაჯთა ფუნქციებიც შეითავსეს. მხიარულ სტარტებში თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა გუნდმა „არწივები“, რომლის კაპიტანიც **გიორგი სირადეგიანი** იყო, შემადგენლობაში კი **ვასილ** და **მარიამ ბერიძეები**, **თორნიკე მაზმიშვილი**, **ცოტნე ფანჯარაშვილი**, **სალომე სანდიძე** და **ნინო ცინაძე** შედიოდნენ.

დასასრულს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სპონსორი – შპს-მაღაზია „ძველი“ და მისი დირექტორი **გოგი ზედგინიძე**. მან დიდი დახმარება გაუწია ორგანიზატორებს, რაც ჩვენთვის ასე უცნობი მუნიციპალური დაფინანსების მშვენიერი მაგალითია.

ქართული კვარტეტი ვოლაბერგში

მიმდინარე კვირაში ავსტრია-ლიხტენშტაინი ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ფესტივალს მასპინძლობს. ესაა იმ თამაშების საზამთრო ანალოგი, რომელსაც ზაფხულში, ივლისის ბოლოს, თბილისმა უნდა უმასპინძლოს. ოფიციალურად მისი ჩატარების ადგილად ლიხტენშტაინის პატარა ქალაქი ვოლაბერგია მითითებული, თუმცა ჯუჯა სახელმწიფოს სპორტული ბაზებით მეზობელი ავსტრიაც ეხმარება – სპორტის სათხილამურო სახეობები, რომლებიც გარეთ იმართება, ღია ცის ქვეშ, ლიხტენშტაინში ტარდება, დარბაზის სახეობები კი – ავსტრიაში.

ფესტივალის პროგრამაში სპორტის 8 სახეობაა: სამთო სათხილამურო სპორტი, ტრამპლინიდან ხტომა, თხილამურებით რბოლა, სათხილამურო ორჭიდი, ბიატლონი, სნოუბორდი, ჰოკეი და ფიგურული ციგურაობა. ამათგან ჩვენები მხოლოდ სამში გამოვლენ და ისიც მხოლოდ ოთხი სპორტსმენით: სამთო სათხილამურო სპორტში **გიორგი კურტანიძე** და **ბესარიონ ჯაფარიძე** ცდიან ძალებს (მწვრთნელი – **ვახტანგ თედიაშვილი**). სნოუბორდში **ლუკა რურუა** გამოვა (მწვრთნელი – **ლევან მშვილდაძე**), ფიგურულ ციგურაობაში კი **ირაკლი მაისურაძე** (მწვრთნელი – **სერგეი დავიდაუ**) გვეყოლება.

ვოლაბერგში, კვირას, გახსნის ცერემონიალი გაიმართა, სადაც საქართველოს მედროშე **გიორგი კურტანიძე** იყო. ორშაბათს უკვე სპორტული შეჯიბრებებიც დაიწყო. ქართული კვარტეტი პირველივე დღეს გავიდა სტარტზე. მოციგურავე ირაკლი მაისურაძემ, რომელიც ავსტრიაში მოსკოვიდან ჩავიდა, სადაც ტურნირზე იმყოფებოდა, მოკლე პროგრამაში საკმაოდ კარგად ისრიალა და მეხუთე ადგილზე გავიდა. ის თავისუფალ პროგრამაში 28 იანვარს გამოვა და, იმედია, მაჩვენებელს გააუმჯობესებს.

გიგანტურ სლალომში ისრიალეს მოთხილამურეებმაც – ჯაფარიძემ და კურტანიძემ, თუმცა მათ დისტანცია ვერ ჩაამთავრეს, ხოლო სნოუბორდისტი რურუა კი მერვედფინალში გავიდა.

ირაკლი თავაძე

წარსულის ფურცლებიდან

სამედიცინო უნივერსიტეტში სპორტი, მით უმეტეს, ფეხბურთი რომ უყვართ, ყველასთვის ცნობილია... ათეული წლებია, ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი აქტიური სპორტული ცხოვრებით ცხოვრობს. განსაკუთრებულია რექტორის, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას** ყურადღება და თანადგომა დარგის მესვეურებისა და სტუდენტებისადმი – წარსულში აქტიური სპორტსმენი ყოველთვის გულისხმიერი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა კოლეგების და სტუდენტებისადმი. ვფიქრობთ, ტრადიცია მომავალშიც შენარჩუნდება.

წერილი, რომელიც ისევ და ისევ სპორტის სიყვარულმა დამაწერინა, წარსულის გახსენებას მივუძღვენი, როდესაც სამედიცინო ინსტიტუტში (უნივერსიტეტში) უფრო მძლავრად სცემდა სპორტული მაჯისცემა. შეჯიბრებები ტარდებოდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში არა მარტო სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებელთა შორისაც. განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩეოდა მინი-საფეხბურთო ტურნირები – ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები დიდ ენერგიას აქსოვდნენ ყოველ მატჩში და შესანიშნავი თამაშით ამახსოვრებდნენ კიდეც თავს მაყურებელს. სამკურნალო ფაკულტეტის გუნდის შემადგენლობაში თამაშობდნენ: დეკანი **ნუკრი ნემსიწვერიძე**, ასევე, **ნოდარ ბაქრაძე**, **სერგო თაბაგარი**, **გოგი სურგულაძე**, **გელა სულაბერიძე**, **გოჩა ინოროყვა**, **ავთანდილ ისაკაძე**, **თამაზ ჩხიკვაძე** და გუნდის კაპიტანი **თემურ მახარაძე**.

პედიატრთა შორის გამოირჩეოდნენ: დეკანი **გივი ჟვანია**, ასევე, **გედი გელბახიანი**, **ვოვა ზადრალიშვილი**, **დავით მანჯგალაძე**, **დავით ჩეკურიშვილი**, **გოგი ჩახუნაშვილი**, **მერაბ მაღლაკელიძე** და გუნდის კაპიტანი **ირაკლი ქართველიშვილი**.

სტომატოლოგიური ფაკულტეტი ასეთი შემადგენლობით იყო დაკომპლექტებული: დეკანი **ავთანდილ საყვარელიძე**, ასევე, **ზურაბ საყვარელიძე**, **ზურაბ გვენეტაძე**, **კოკი კეკელიძე**, **ზურაბ ვადაჭკორია** და გუნდის კაპიტანი **დავით შენგელია**.

სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტიდან აქტიურობდნენ: დეკანი **გივი კვანჭახაძე** და მოთამაშეები: **კუკური გიორგაძე**, **ალექსანდრე მთვარაძე**, **ავთანდილ მიქაბერიძე**, **ბიძინა ზურაშვილი**, **სოლომონ ნოზაძე**, **თამაზ გელოვანი** და გუნდის კაპიტანი **პავლე კასრაძე**; ფარმაცევტებიდან კი – დეკანი **რომან მახარაძე** და მისი კოლეგები: **თამაზ მურთაზაშვილი**, **გია გერგიძე**, **ჯემალ მონიავა**, **ჯუმბერ კუჭუხიძე**, გუნდის კაპიტანი **დავით ჯინჭარაძე**.

ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში, თსსი-ის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კათედრის (გამგე – **გიზო დოლიძე**) თაოსნობით, არაერთი საინტერესო ღონისძიება იმართებოდა პროფესორ-მასწავლებელთა, ასისტენტთა თუ ლაბორანტთა აქტიური მონაწილეობით. ჭადრაკსა და ნარდში, კალათბურთსა და ფრენბურთში, ჩოგბურთსა თუ ბადმინტონში, ცურვასა და მძლეოსნობაში... სხვადასხვა დროს, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის რექტორები: **კონსტანტინე ვირსალაძე**, **ოთარ ღუდუშაური**, **არჩილ ასათიანი** და **რამაზ ხეცურიანი**.

ისევ ფეხბურთს მივუბრუნდები. როდესაც გადაწყდა, პროფესორ-მასწავლებელთა ნაკრები გუნდი ჩამოგვეყალიბებინა, მწვრთნელ-მოთამაშის სტატუსი მე შევითავსე, გუნდის უფროსად თამაზ გელოვანი დაინიშნა, კაპიტნად – ირაკლი ქართველიშვილი, რომელიც შემდეგში თემურ მახარაძემ ჩაანაცვლა. მალე საფეხბურთო კლუბიც ჩამოვაყალიბეთ გოგი ჩახუნაშვილის პრეზიდენტობით. კლუბის სახელწოდებად „მენედა“ („მედიცინა“, „ნექტარი“ და „დასტაქარი“) შეირჩა. მეამაყება, რომ დაარსებიდან მალე, თსსი-ს პროფესორ-მასწავლებელთა საფეხბურთო ნაკრებმა, რესპუბლიკის ანალოგიური სახის გუნდებს შორის, პირველობა არავის დაუთმო, რაც გუნდის მთელი შემადგენლობის უდიდესი პასუხისმგებლობით, საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით და საფეხბურთო დისციპლინით მიიღწეოდა. 1987 წელს, ჩვენმა გუნდმა, ამიერკავკასიის უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადაზე, პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. შემდეგ არაერთი მატჩი გავმართეთ რესპუბლიკის ქალაქებში, რომლებიც, ძირითადად, ჩვენი გუნდის უპირატესობით სრულდებოდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) პროფესორ-მასწავლებელთა ფეხბურთის ნაკრების წევრები ყოველთვის გამოირჩეოდნენ გონიერებით, სწრაფი აზროვნებით და ხედვით, ბურთის გადაცემის კულტურით, ამიტომაც ხშირად გამარჯვებულები ტოვებდნენ მოედანს.

გასული წლის დეკემბერში თსსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა მინი-საფეხბურთო ნაკრები 30 წლის გახდა, ამიტომ გუნდის ვეტერანებს – დავით შენგელიას, თემურ მახარაძეს, პალიკო კასრაძეს, ზაურ ფხალაძეს, ვახტანგ ბაქანიძეს, ირაკლი ქართველიშვილს, მერაბ მაღლაკელიძეს, სოლომონ ნოზაძეს, დავით მანჯგალაძეს, მერაბ კოვზირიძეს, გოგი ჩახუნაშვილს, ავთო მიქაბერიძეს, თამაზ გელოვანს – გვსურს საიუბილეო თარიღი მივულოცოთ საუკეთესო სურვილებით.

სწორედ ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, თსსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, სპორტის და ხელოვნების ცენტრის დირექტორის ზაურ ფხალაძის თანადგომით და ჩვენი ინიციატივით, გადაწყდა, აღნიშნული გუნდის ღვაწლმოსილი აქტიური მოთამაშეების – თამაზ გელოვანის, ზურაბ გვენეტაძის და ჯემალ მონიავას სახელობის ტურნირი გაგვემართა სტუდენტებს შორის.

ტურნირში, რომელიც წრიული სისტემით წარიმართა, თსსუ-ს 8 საუკეთესო გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ფინალში გამარჯვებული გუნდები – „ნიგერია“ და „რეალი“ – შეხვდნენ ერთმანეთს, გამარჯვება ნიგერიელებმა მოიპოვეს, მათ გუნდში თსსუ-ს ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი **დავით შველიძე** და ასევე, **ზვიად ბლიაძე** თამაშობდნენ. ტურნირის საუკეთესო მეკარედ **გიორგი კიკნაძე** დაასახელეს („რეალი“), საუკეთესო ფეხბურთელად – **კლიფ-ნჯა ვერეოვაჯი**, ხოლო ბომბარდირად – **ერხან ჩეთინი** (7 ბურთის ავტორი).

ტრადიცია გრძელდება. იმედია, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები არაერთ სასახელო ფურცელს ჩაწერენ საუნივერსიტეტო სპორტის ისტორიაში.

ვახტანგ ბაქანიძე

თსსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა ფეხბურთის ნაკრები გუნდის მწვრთნელი-მოთამაშე, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე

წიგნის თვრო — მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური პლაკატები
დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

თემატური პლაკატები
მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი – ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა – დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი – გუსტავ კლიმტი
4. მენინები – დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა – მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი – კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება – რემბრანდტი
8. საძანელა – ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე – ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) I, II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ჭიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი
4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

მიმდინარეობს ხელმოწერა

- თეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი** (ახალი)
- მიგელ დელიბესი - **ორი რომანი** (ახალი)
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან

ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

გამომცემლობა „დიოგენე“

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბერიოზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

ქიმია
(განახლებული)
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 8 ლარი

ფიზიკა
(განახლებული)
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
ფასი – 8 ლარი

გეოგრაფია
(განახლებული)
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 8 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, დ. ბარამიძე, ქ. მაღრაძე, ნ. სიხარულიძე, მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ბიოლოგია
აბიტურიენტებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი
(სიახლე)
პირველი ნაწილი – 10 ლარი
მეორე ნაწილი – 10 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/აGE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK